1933


# დროშა

№ 7

1933 წ. 15 აპრილი


## ფაშისტური ტერორი გერმანიაში





ჩვეულებრივი სურათი მუშათა უბნებში: ფაშისტური პოგრომ-შჩიკების თავდასხმის შემდეგ— ქმარი დააპატიმრებულია, ბინა დარბეული, ოჯახი აწიოკებული

## ამხ. კრილენკოს დაჯილდოება



ამხ. ნ. ვ. კრილენკო, პროლეტარული არმიის უზენაესი მთავარ-სარდალი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურებისათვის მუშათა კლასის წინაშე, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

## ერთ-ერთი მრავალ საუკეთესოთაგან



აჭარის სოფლის საბჭოთა მეურნეობებში მრავალი არიან აჭარელი მუშები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის. **სურათზე:** აჭარელი მუშა ამხ. **ასლან ზაქარიაძე.** იგი მუშაობს მიწსახკომის ტრესტის მესამე საბჭოთა მეურნეობაში. დამკვრელური მუშაობისათვის ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად იგი მრავალჯერ არის დაჯილდოებული.

## კომკავშირელები—საწარმოო. [illegible] სა[illegible]ო გეგმებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში





მარცხნივ: თბილისის ტრამვაის სახელოსნოების საუკეთესო დამკვრელი კომკავშირელები ამხ. მიქაძე, ფირცხალავა და [illegible]იშვილი, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს ვალდებულება გეგმის გარეშე მიღებული ვალდებულება—ორი ვაგონის გამოშვება ოქმონტიდან.

ზევით: თბილისის ტრამვაის სახელოსნოების კომკავშირელთა საუკეთესო დამკვრელმა ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს ჯგუფორგი ამხ. თოფურია, სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ტრამვაის ყველა ცეხი და იკისრა: ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია, ხამი კომპრეს. გამოშვება გეგმის გარეშე და თვითღირებულების შემცირება [illegible] პროც. **სურათზე**—ამხ. თოფურიას ბრიგადა მუშაობის დროს.

## ტუნდრიდან—[illegible]ალლეს სასწავლებელში



ესკიმოსი-ქალი, კომკავშირელი, საბჭოთა მღივანი—აიპრაზტენ, რომელიც სასწავლად გაგზავნეს ლენინგრადში.

## სხირტლაძე უშვებს უვარგის პროდუქციას



ტრამვაის სახელოსნოების მჭედელი სხირტლაძე არავითარ ყურადღებას არ აქცევს პროდუქციის ხარისხს. სისტემატიურად უშვებს 50 პროც.-მდე უვარგის პროდუქციას.

# მესამე იმპერია გერმანიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრე შემოხაზულია.

15 წლის „რესპუბლიკანური" მმართველობის შემდეგ გერმანია მივიდა გამოსავალ პუნქტში—გერმანიის მუშებმა და მშრომელმა მასებმა დაჰკარგეს ყველაფერი, რაც კი მათ მიიღეს 1918 წლის ნოემბრის რევოლიუციის შედეგად. უფრო მეტი—ისინი იმ უფლებებითაც კი არ სარგებლობენ, რასაც მათ აძლევდა გამოცლილი მონარქიულ-ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი. გერმანიის ბურჟუაზია და მემამულეები ფაშისტური ბანდების საშუალებით სასტიკად იძიებენ შურს პროლეტარული რევოლიუციის [illegible]ლისათვის, რომელმაც 1918-19 წლებში გადაიარა გერმანიაში, იმ სასტიკი ბრძოლებისათვის რომელიც გერმანიის პროლეტარიატმა გაუმართა კაპიტალს რურში, ჰამბურგში, ბერლინში და სხვ. სამრეწველო ცენტრებში, იმ დათმობებისათვის, რომლებზედაც ის იძულებული იყო წასულიყო მუშათა მასების ტერორის ზეგავლენით. იმ 6 მილიონი ხმისათვის, რომელიც უკანასკნელის დევნა-შევიწროებისა და რეპრესიების პირობებში მისცა პროლეტარიატმა თავის ერთად-ერთ პარტიას—კომუნისტურ პარტიას.

და ამ სისხლიანი თარეშის დღეებში, როცა საფრთხე მოელის ყოველი რევოლიუციონური მუშის სიცოცხლეს, როცა ფაშისტური ბანდები ათასობით აწამებენ და ხვრეტენ გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს, როცა ციხეები ადგილს ვერ ჰყოფნით დაპატიმრებული რევოლიუციონური მუშებისა და კომუნისტებისათვის, როცა აკრძალული და კანონს გარეშეა გამოცხადებული არა მარტო კომპარტია, კომკავშირი და წითელფრონტელთა კავშირი, არამედ მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციები—პროფკავშირები, კულტურული დაწესებულებები, პრესა,—გერმანიის რევოლიუციონური მუშათა კლასი წყევლა-კრულვით მოიგონებს იმათ, ვინც გზა გაუწმინდა ჰიტლერ-გერინგს და მათ ფაშისტურ ბანდებს—წყევლა-კრულვით მოიგონებს სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც 15 წლის განმავლობაში ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალით, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით, ერთიანი ფრონტის შექმნით ბურჟუაზიასთან მუშათა კლასისა და კომპარტიის წინააღმდეგ, მონაწილეობით პროლეტარიატის საუკეთესო ბელადების—კ. ლიბკნეხტის, რ. ლიუქსემბურგის და სხვ. მოკვლაში, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის სისხლში ჩაღრჩობაში, მუშათა კლასის ყველა რევოლიუციონური გამოსვლების ჩაქრობაში პოლიციის ქუსლით და ტყვიამფრქვევებით,—„ნაკლები ბოროტების" პოლიტიკის გატარებით მოამზადა გერმანიის დღევანდელი სისხლიანი ტერორის და პოგრომების პოლიტიკის სულისჩამდგმელთა ჩადგომა ხელისუფლების სათავეში. წყევლა-კრულვით მოიხსენიებს მეორე ინტერნაციონალს, რომელიც მხარს უჭერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკას და უჭერს მხარს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკას ყველა ქვეყნებში.



გერმანიის რეიხსტაგის ხანძარი

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი ფ. შეიდემანი, ლიბკნეხტ-ლიუქსემბურგის მკვლელობის ორგანიზატორი, თავის მემუარში იგონებს სასტიკ საყვედურებს, რომლითაც მას მიმართეს ებერტმა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სხვა ლიდერებმა რესპუბლიკის გამოცხადებისათვის 1918 წ. ნოემბრის დღეებში. შეიდემანი გაკვირვებული და ნაწყენია ამ საყვედურებით.



ჰუგენბერგი (მარცხნივ) გერმანიის ნაციონალისტების ლიდერი, ჰიტლერი (მარჯვნივ) გერმანიის ნაციონალ-სოციალისტების (ფაშისტების) მეთაური.

ის კატეგორიულად უარჰყოფს თავის რესპუბლიკანელობას და რესპუბლიკის გამოცხადებას მის მიერ ხსნის იმით, რომ სხვა გზა არ იყო—ლიბკნეხტი დამასწრებდა საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებასო. საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების შიშით ფ. შეიდემანმა ამჯობინა გამოცხადება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის, რომ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზით „გადაერჩინა" ქვეყანა „საშიშ კომუნისტურ ექსპერიმენტებისაგან"—ე. ი. დაეცვა ბურჟუაზიული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა.

15 წლის განმავლობაში გერმანიის სოციალ-დემოკრატია სახელოვნად განაგრძობდა 1914 წ. აგვისტოში დაწყებულ მუშაობას ბურჟუაზიის სამსახურში. რა მისი ბრალია თუ გერმანიის იმპერიალისტებმა წააგეს ომი. მან პატიოსნად შეასრულა თავისი მოვალეობა ბურჟუაზიის, კაპიტალისტურ სამშობლოსა და კაიზერის წინაშე. მაგრამ კიდევ მეტი გააკეთა მან ბურჟუაზიისათვის ომის შემდეგ—იხსნა ის ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციისაგან, ეს როდი იყო იოლი საქმე. პროლეტარული მასები [illegible] მოითხოვდნენ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას, კერძო საკუთრების მოსპობას საწარმოო საშუალებებზე, ბანკების ნაციონალიზაციას. გაბატონებული კლასები დემორალიზებული იყვნენ ომის წაგებისა და რევოლიუციის აზვირთების შედეგად. პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მოახდინა მთელი თავისი გაიძვერობის, ფარისევლობის და მოღალატური მოქნილობის მობილიზაცია იმისთვის, რომ საშუალება არ მიეცა პროლეტარული რევოლიუციის გაშლისათვის.

„თქვენ, მუშებო, გნებავთ სოციალიზმის განხორციელება? ინებეთ! ჩვენ, თვითონ, ზევიდან, მოგცემთ მოწესრიგებულს, კაბინეტში შემუშავებულ სოციალიზმს. აგერ არიან ჩვენი „სოციალისტური მეცნიერები"—კაუცკი, ჰილფერდინგი და სხვ. „თეორეტიკოსები"—სოციალიზაციის კომისია შეიმუშავებს გეგმას — სახალხო რწმუნებულთა საბჭო კი განახორციელებს სოციალიზმს ზევიდან, დეკრეტებით, რა საჭიროა ამისთვის რევოლიუცია!

სოციალ-დემოკრატიამ შესძლო მასების მოტყუება ამ ილიუზიით, თითქო შეიძლებოდა სოციალისტური პროგრამის განხორციელება პარლამენტარული გზით, ზევიდან, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლების გარეშე, სანამ კაუცკი და ჰილფერდინგი „სოციალიზაციის" კომისიაში ყალთაბანდობდნენ, სისხლისმსმელი ძაღლი ნოსკე და მონარქისტი გენერლები აგროვებდნენ ძალებს და ცეცხლით და მახვილით ებრძოდნენ მუშათა რევოლიუციონურ გამოსვლებს. როცა ბურჟუაზიამ თავი დააღწია რევოლიუციის პირველი დღეების დაბნეულობას და ზურგ მომაგრებულად იგრძნო თავი, სოციალიზაციის გეგმები დასამარებულ იქნა. სოციალ-დემოკრატია განაგრძობდა თავის ერთგულ სამსახურს—ეხმარებოდა ბურჟუაზიას დაუესის, იუნგის და სხვა ყაჩაღური გეგმების გატარებაში მშრომელთა ხარჯზე, კაპიტალისტური რაციონალიზაციის განხორციელებაში, მშრომელი მასების გაძარცვაში, მისი პოლიტიკური და ეკონომიური მონაპოვართა ლიკვიდაციაში. სოციალ-დემოკრატია მოხერხებულად ახდენდა მანევრებს „ნაკლები ბოროტების" ლოზუნგით,—თანდათანობით აკარგვინებდა მუშათა კლასს მის მიერ შენარჩუ-



21 მარტს ჰოგენცოლერნების ძველ რეზიდენციაში—პოტსდამში გაიხსნა გერმანიის ახალი რეიხსტაგი. ჰიტლერისათვის განუსაზღვრელი რწმუნებების მინიჭების შემდეგ 23 მარტს რეიხსტაგი დათხოვნილ იქნა.

სურათზე—ფაშისტური რაზმების აღლუმი რეიხსტაგის გახსნის დღეს.

ნებულ უკანასკნელ პოზიციებს ბრიუნინგის დროს—პაპენის მოქცევით ხელისუფლების სათავეში, პაპენის დროს—შლეიხერის დიქტატურით, შლეიხერის დროს—ჰიტლერის დიქტატურით და მორიგეობით ყველა მათგანს უჭერდა მხარს და ყველა მათგანთან თანამშრომლობდა რევოლიუციონური მუშათა კლასისა და კომპარტიის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატია ახლაც მზად არის ითანამშრომლოს ჰიტლერთანაც „რამდენადაც მან საპარლამენტო" უმრავლესობა მიიღო".—როგორც ამას აცხადებდა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. სოციალ-დემოკრატია მზად არის ჰიტლერის დროსაც ატყუოს მასები, ჰკვებოს ის ილიუზიებით. სოციალ-დემოკრატია ისე ჩაეფლო მოღალატეობისა და გამცემლობის ჭაობში, იმდენად შეეზარდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომ საშინელი ფაშისტური თარეშის პირობებშიც, როცა მკვლელობის ხროვა მის მუშაკებსაც არ ინდობს („ტყეს სჭრიან—ნაფოტები სცვივა"—როგორც გერინგმა განაცხადა) მას არ სურს და არ შეუძლია ბრძოლა გამოუცხადოს რეაქციას. უარი სთქვა თბილ-თბილ ადგილებზე სახელმწიფო აპარატში. სოციალ-დემოკრატიული ლიდერები მზად არიან ჩექმები ულოკონ ჰიტლერს ოღონდ კი მან არ წაართვას მათ მაღალი ჯამაგირების და დამსახურებულთ პენსიის შესაძლებლობა.

მაგრამ გერმანიის სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ფაშისტური ხროვა თვლის, რომ სოციალ-დემოკრატიის სამსახური მას აღარ სჭირდება, ის თვლის, რომ საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ იბატონოს სოციალ-დემოკრატიულ მოკავშირეების გარეშე. „მავრმა შეასრულა თავისი საქმე", მაგრამ თავისით კი არ წასულა, არამედ კინწის კვრით გააგდეს.

ჰიტლერ-გერინგის კომპანიამ გადასწყვიტა მარქსიზმის ხსენებაც კი მოსპოს გერმანიაში. გერმანიის ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფები ერთსულოვანი არ არიან ჰიტლერის დიქტატურისადმი დამოკიდებულების საკითხში, მაგრამ ისინი სავსებით ერთსულოვანი არიან მხარის დაჭერაში იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც ნაციონალ-სოციალისტები ატარებენ გერმანიის რევოლიუციონური მოძრაობის და კომპარტიის შესამუსრავად. ზოგიერთი წრეები, მართალია, ფიქრობენ, რომ შეიძლებოდა ცოტა უფრო რბილად მოპყრობა სოც.-დემ. მიმართ თუნდაც ძველი დამსახურების გულისათვის, მაგრამ ბურჟუაზიის ეს წრეები სოც.-დემოკრატიის გულისათვის ომს არ გაუმართავენ ჰიტლერს: „ტყეს სჭრიან—ნაფოტები სცვივაო"—ამშვიდებს მათ გერინგი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ჰიტლერის გულის მოსაგებათ არ ერიდებიან მორიგ ღალატს. ისინი ნებაყოფლობით კისრულობენ ფაშიზმის ადვოკატების როლს გერმანიაში აღდგენილ საშუალო საუკუნეების საშინელებით აღშფოთებულ უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად. ფაშისტური მკვლელების ხარჯზე ისინი მოგზაურობენ უცხოეთში და ეწევიან აგიტაციას „ნაციონალური რევოლიუციის"—ე. ი. პოგრომების და ტერორის პოლიტიკის გასამართლებლად.

არც ერთი რევოლიუციონური მუშისათვის სოციალ-ფაშისტების ეს თანამშრომლობა ჰიტლერთან არ არის მოულოდნელი. ვილჰელმის მოკავშირეებს „წმინდა" სინადისით შეუძლიათ თანამშრომლობა [illegible].

გერმანიის ფაშისტები თვლიან, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებები გამოსადეგია, თუგინდ ეს საშუალებები ძლიერ უხეში იყოს. საჭიროა მხოლოდ საბაბი.

ამ მიზნით ისინი აწყობენ რეიხსტაგის დაწვას, რასაც აბრალებენ კომუნისტებს და „კომინტერნის აგენტს" ვან-დერ-ლიუბბეს.

რა უყოთ თუ ირკვევა, რომ ხანძრის წამკიდებლებს შეეძლოთ გაპარვა მხოლოდ რეიხსტაგის თავმჯდომარის ნაციონალ-სოციალისტ გერინგის სახლიდან, თუ ირკვევა რომ ვან-დერ-ლიუბე (როგორც თვითონ აცხადებს) ნაციონალ-სოციალისტია და მისი „ჰოლანდიური" პასპორტი გერმანიის ფაშისტების მიერ არის დამზადებული და, როგორც უცხოეთის პრესა ამტკიცებს, ის არის გერმანიის პოლიციის აგენტ-პროვოკატორი.

მთავარია საბაბი.

ამუშავდა მთელი პოლიციურ-ფაშისტური აპარატი რომ წელში გასტეხონ გერმანიის მუშათა მოძრაობა: კომპარტია კანონს გარეშეა გამოცხადებული, მისი ბელადებით სავსეა ციხეები, სადაც გამეფებულია ისეთი ტანჯვა-წამების რეჟიმი, რომელსაც საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია თუ შეედრება, მოკვლა „გაქცევის ცდის დროს" ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მდინარის ტალღები მიაქანებენ ფაშისტების მიერ ფარულად მოკლულთა გვამებს, ებრაელთა პოგრომებმა მასიური ხასიათი მიიღო, მუშებისათვის აკრძალულია ყოველგვარი კრებები, დემონსტრაციები, ბეჭდვითი ორგანოები, პროფკავშირები, კლუბები.

აღვირახსნილი ფაშისტური რეაქციის თარეში უცხოეთის ბურჟუაზიულ ჟურნალისტების აღშფოთებასაც კი იწვევს. თმა ყალყზე დგება ფაშისტურ საშინელებათა აღწერისაგან.

მაგრამ ამაო არის ფაშიზმის ყველა ცდები მოსპოს მარქსიზმი, მოსპოს კომპარტია. „რუსეთის თვითმპყრობელობასაც სურდა მოესპო ბოლშევიკების პარტია, მაგრამ თვითონ დაემხო რევოლიუციის იერიშების გამო. არ შეიძლება მოსპობა იმ კლასის პარტიის რომელსაც ეკუთვნის მომავალი, არ შეიძლება მოსპობა მარქსიზმის ისე, როგორც არ შეიძლება მოსპობა ისტორიის კანონების, რომლებსაც დაღუპვამდე მიჰყავს კაპიტალიზმი და ამზადებენ სოციალიზმის გამარჯვებას" (ლ. კაგანოვიჩი).

გერმანიის კომუნისტური პარტია კვლავ სდგას რევოლიუციონური მასების სათავეში და მეთაურობს მის ბრძოლას ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფართო მასები, რომლებმაც თვალსაჩინოდ დაინახეს, თუ სად მიიყვანა მათი ლიდერების „ნაკლები ბოროტების" პოლიტიკამ, თავიანთი ბელადების სურვილის და ზრახვების წინააღმდეგ ქმნიან ერთიან ფრონტს კომუნისტ მუშებთან საბრძოლო წინააღმდეგობის გასაწევათ აღვირახსნილი ფაშიზმის სისხლიანი ტერორისათვის. უსაშინელესი ტერორის პირობებში ჩატარებულ რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის არჩევნებში და უკანასკნელად ფაშისტური რეაქციის აღვირახსნილი თარეშის პირობებში ჩატარებულ საქარხნო-საფაბრიკო კომიტების არჩევნებში კომპარ. მიერ მიღებული ხმები ნათელჰყოფენ, რომ გერმანიის რევოლიუციონური მუშათა კლასი მზად არის ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მისი სისხლიანი თარეშისათვის ბოლოს მოსაღებად.

**ბარდი.**

# უმუშევართა დემონსტრაციები შეერთებულ შტატებში



ს. სიეტლის (ვაშინგტონის შტატი) უმუშევრებმა, რომლებიც ბინის ქირის გადაუხდელობისათვის გამოასახლეს ოთახებიდან დაიკავეს სასამართლოს შენობა და განუცხადეს ხელისუფლებას, რომ არ წავლენ იქედან მანამდე, სანამ მათ არ მისცემენ ბინებს და საკვებს.

უმუშევრებმა დაიკავეს სასამართლოს კაბინეტი, დერეფნები და ტრიბუნები და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციას, რომელიც შეეცადა გამოეძევებია ისინი იქედან. და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პოლიციამ გამოიწვია ცეცხლის მქრობელი რაზმები და უმუშევრებზე გაყინული წყალი მიუშვეს, მათ დასტოვეს სასამართლოს შენობა, **სურათზე:** უმუშევრები სტოვებენ სასამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინის ჩამოსვლა.—1917 16 IV 1933

ჯერ კიდევ, სანამ საღამო მოაწევდა, 1917 წ. 16 აპრილს ფინეთის სადგურის პატარა მოედანი შავი იყო თავმოყრილ მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისაგან. ოციოდე ჯავშნოსანი ავტომობილი იდგა მწკრივში სადგურის წინ. როცა დაბნელდა, აინთო პროჟექტორები. მათმა სხივებმა სიბნელის სამოსელი გახადა ნევის ნაპირებს და გაანათა შეიარაღებულ მუშების, ჯარისკაცების და მატროსების ახალი მასები, გუგუნით შემოვიდა გადაზუნულ პერონში გაჩირაღდნებული მატარებელი. ბაქანზე ჩამწკრივებული იყო, მოლოდინში თითქო გაქვავებული, ბალტიის ფლოტის მეორე ეკიპაჟის მატროსების მწკრივები—საპატიო ყარაული. მატარებელი გაჩერდა. მრავალი წლის ემიგრაციის შემდეგ რევოლიუციონური პიტერის მიწაზე შემოსდგა ფეხი **ვ. ი. ლენინმა.**

მეორე დღეს პიტერის ბურჟუაზიულმა და ობორონცულმა გაზეთებმა ერთი სტრიქონიც არ უძღვნეს წინადღით ფინეთის სადგურზე მომხდარ ამბავს. ბურჟუაზიამ ისეთი სახე გააკეთა, რომ ვერ შენიშნა ლენინის ჩამოსვლა, ობივატელი კი კუთხე-კუთხე ჩურჩულობდა „დაპლომბილი ვაგონის შესახებ“.

და ლენინი, რომელთანაც შეხვედრის დროს საპატიო ყარაულის უფროსმა ოფიცერმა იმედი გამოსთქვა, რომ ის შევა დროებითი მთავრობაში, მეორე დღეს გამოვიდა ისტორიული თეზისებით, რომლებიც ამხელდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მოუწოდებდა დროებითი მთავრობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ. მაშინ ბურჟუაზიული და ობორონცული პრესის დუმილის შეთქმულება დაირღვა.

კადეტების „რეჩ“ პირველი ავრცელებს ჭორს, რომ ბოლშევიკები—„გერმანელთა შტაბის, აგენტები არიან“, ლენინის ჩამოსვლისადმი მიძღვნილ წერილში „რეჩ“ აცხადებს: „ბატონი ლენინი მოითხოვს ზავის დადებას ყოველ მიზეზს გარეშე... გერმანიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ბატონ ლენინის და მისი ამხანაგების რაც შეიძლება ჩქარა ჩასვლა სასარგებლო იქნება გერმანიის ინტერესებისათვის; მას სჯერა ბოლშევიკების ბელადის გერმანოფილობა“.

როლები გაზეთებს შორის დანაწილებული იყო, მაგრამ მიზანი იყო ერთი: კადეტთა „რეჩ“ და მასთან ერთად მთელი ბულვარული პრესა, ანთხევდა რა უსირცხვილო ჭორებს, მიზნად ისახავდა წაქსისინებია ბოლშევიკებზე და პირველ რიგში ლენინზე თავისი კონტრ-რევოლიუციონური კადრები—ოფიცრები, მედუქნეები, წვრილი ბურჟუაზია, მენშევიკები და ესერები, რომლებიც არ ერიდებოდენ ბურჟუაზიის არსენალიდან ამოღებული იარაღის გამოყენებას, ცდილობდენ ჩამოეგლიჯათ ლენინისაგან მასები, რომლებიც თავის რიგებს ამჭიდროებდნენ ბელადის გარშემო.

მენშევიკური „რაბოჩაია გაზეტა“, სასიკვდილოთ დამფრთხალი იმით, რომ რევოლიუცია არ შეჩერდება თებერვლის ეტაპზე, მოუწოდებს—გადამჭრელი ბრძოლა გაემართოს ლენინს: „ლენინი ჩამოვიდა ჩვენში, რომ სიმახინჯრი გაუწიოს რეაქციას. მისი გამოსვლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ლენინის ყოველი მნიშვნელოვანი წარმატება იქნება რეაქციის წარმატება. ლოზუნგები—„დემოკრატიული რესპუბლიკა“, „დამფუძნებელი კრება“—ლენინმა გამოაცხადა ძველ ხლამად, რომელიც უნდა გადავაგდოთ, მან რუსეთის, სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშაც კი არ დაინდო, ის გასვრილია-ო.—ეს დროშაო,—განგვიცხადა მან ჩვენ,—გასვრილია ევროპის ს.-დ. საყოველთაო ღალატით. მოღალატეები არ არიან მხოლოდ ყველაზე უფრო შეურიგებელი სოციალისტებია: მცირე ჯგუფები, რომლებიც სხედან ევროპის ციხეებში, მხოლოდ მათ შეიძლება გაეწოდოს ხელი. ამიტომ გავიხადოთ ბინძური პერანგი, რომლადაც ლენინის აზრით გადაიქცა სოციალ-დემოკრატია. ჩავიცვათ ახალი, წმინდა პერანგი, ვუწოდოთ თავს კომუნისტები.. რევოლიუციას ემუქრება ექვს გარეშე საფრთხე. სანამ გვიან არ არის, ლენინსა და მის მომხრეებს გადამჭრელი პასუხი უნდა გავსცეთ“.

„სოფლის მინისტრი“ ჩერნოვი გაზეთში „დელო ნაროდა“ ცდილობდა თავისი სიძულვილი და შიში დაეფარა რიხიანი და თვითკმაყოფილი ლაყბობით: „ლენინი—საგულისხმო ფიგურაა. რუსეთის ახალმა ცხოვრებამ უნდა გააშიშვლოს იგი. ჩემთვის სასაცილოა შიში, რომ მოხდება პირიქით, რომ ის გააშიშვლებს რუსეთის ახალ ცხოვრებას. მათ შესახებ წრიპინობენ თაგვები, რომლებისთვისაც „კატაზე ძლიერი მხეცი არ არსებობს“. ჩვენ ჩავაქრობთ ლენინის გავლენას. მხოლოდ ხელს ნუ გვიშლის სასიკვდილოთ დამფრთხალი კურდღლის სულების წუწუნი“.

პლეხანოვის „ედინსტვო“ ლენინის თეზისების შესახებ „თეორეტიული“ წერილების არტილერიის შემდეგ შეეცადა მტერი ირონიით დაემარცხებია. ჩვენ მთლიანად მოგვყავს ეს ფელეტონი „ლენინის სიზმარი“, რომელიც წარმოადგენს მენშევიზმის პოლიტიკური უბადრუკობის ისტორიულ მოწმობას, მენშევიზმის, რომელიც მაშინაც კი, რევოლიუციის გარიჟრაჟზე, შორს იყო არა მარტო მასებისაგან, არამედ მიმდინარე მოვლენების გაგებიდანაც.

„ლენინის სიზმარი“—ასე ეწოდება ფელეტონს „ედინსტვო“-ში.

„ლენინი ხედავს სიზმარს. ის—არის რუსეთში, საზღვარგარეთ კი არა... ის ხომ ვინმე სოციალ-პატრიოტი არ არის. ის არის რუსეთში მას ატარებენ ხელით. ხალხის დაუშრეტელი ყიჟინა ესალმება მას. მისი ცნობილი 8 თეზისი ყველა მიღებულია. მის ხელშია არანაკლებ ცნობილი დირიჟორის ჯოხი.. და ყველაფერი მოხდა ისე, როგორც ის ოცნებობდა. ყველაფერი განხორციელდა.

განხორციელებულია თეზისი პირველი: კაპიტალი დამხობილია, მომქმედ არმიაში „რევოლიუციონური ობორონცობის“ ნაცვლად მოწყობილია—ფართო პროპაგანდა „კაპიტალის კავშირის შესახებ იმპერიალისტურ ომთან“. დაძმობილება, ლაყბობა.

განხორციელებულია მეორე თეზისი: წარმოუდგენლად ფართო მასები, გადვიძებულნი ახალი ცხოვრებისათვის, დაირაზმნენ მისი თეზისების გარშემო და ძალაუფლება გადავიდა მოსახლეობის ულარიბესი ფენების ხელში.

განხორციელებულია მესამე თეზისი: დროებითი მთავრობამ ყველა მისი დაპირების ცრუ ხასიათის განმარტების შემდეგ ვერსად ჰპოვა დახმარება: კერენსკიმ, თავისი სიტყვის ერთგულმა, ტყვია იცა შუბლში.

განხორციელებულია მეოთხე თეზისი: ყველა ელემენტები, რომლებიც ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოექცნენ, სახალხო სოციალისტებიდან, ესერებიდან გაერთ კომიტეტამდე (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ. და სხვ.), უკანა რიგებში მოექცნენ, დასთმეს თავისი პოზიციები.

განხორციელებულია მეხუთე თეზისი: მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა ლენინის ხელში, ე. ი. მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ახალ საბჭოს ხელში. ახალმა საბჭომ კოოპტაციით მოიწვია დეპუტატები რუსეთში ჩამოყვანილ ჩინელებისაგან. სწორედ ჩინელები, რუსული ენის უცოდინარობის მიუხედავად, აღმოჩნდნენ ლენინის მხურვალე მომხრეები.

გადაყენებულ იქნა პოლიცია, მოხელეთა არმია. გადაყენებულ იქნა ყველაფერი დანარჩენი.

განხორციელებულია მეექვსე თეზისი მერვემდე: აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოზე. ყველგან, თითქო ჯადოსნური ჯოხის დაქნევით, გაჩნდა სანიმუშო მეურნეობები. ყველა ბანკები დაუყოვნებლივ გაერთიანდნენ ერთ ნაციონალურ ბანკად ჩინელ დეპუტატთა საბჭოს კონტროლის ქვეშ. პარტიამ შეიცვალა სახელწოდება, ინტერნაციონალი განახლდა. ვილჰელმმა თავისი ურდოები ცერემონიალური მარშით შემოიყვანა პეტროგრადში. რუსეთი,—„გუშინ ყველაზე თავისუფალი ქვეყანა მსოფლიოში“ (მეორე თეზისი)—გახდა ვილჰელმის მონა და სასაცილო მთელი მსოფლიოსათვის“.

მაგრამ ისტორიამ მწარედ დასცინა თეზისის ავტორს: ლენინის თეზისები განხორციელებულია, მთელი მსოფლიოსათვის სასაცილო კი გახდნენ მენშევიკები და ძმანი მათნი..

შეთანხმებლური პარტიები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიას და მხარს უჭერდენ დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას, სასტიკად მტრულ ოპოზიციაში უდგნენ ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ ლოზუნგს პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის შესახებ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მთავრ-



**ვ. ი. ლენინი*** ამხანაგთა ჯგუფში სტოკჰოლმში, შვეიცარიიდან რუსეთში გამომგზავრების დროს. უკან ამხ. **მიხა ცხაკაია****

რა ბანკის უზენაესი კომისარი სტანკევიჩი, იგონებდა რა ლენინის ჩამოსვლას, ემიგრაციაში სწერდა:

„ლენინის ჩამოსვლას არ შეეძლო შეეცვალა შთაბეჭდილება, რომ საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ მანიფესტების და მოწოდებების გზა უსასრულოდ გრძელი და ძნელია. პირველყოვლისა, თვით ჩამოსვლამ გერმანელთა დაპლომბილი ვაგონით მეტად მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ ლენინის პირველმა გამოსვლამაც მისი პროგრამით ნათელჰყო, რომ მისი გზა—არის გზა აშკარა უგუნურებისა დემოკრატიის მაშინდელი ხელმძღვანელი წრეების საკმაოდ ანთებული გონების თვალსაზრისითაც კი. პირველსავე დღის ის გამოვიდა საბჭოს სხდომაზე და წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ძლიერ გაახარა მისი მოწინააღმდეგეები.

— კაცი, რომელიც ასეთ სისულელეებს ამბობს არ არის საშიში, კარგია რომ ჩამოვიდა. „ახლა მას ყველა ხედავს.., ახლა ის თვით უარჰყოფს თავისთავს.

ასე ამბობდინ კომიტეტის ხელმძღვანელები, როცა იმეორებდნენ ლენინის პირველი გამოსვლის შემდეგ“.

მაგრამ მინისტრების ხაზეინებს უკეთ ესმოდა მდგომარეობა და ისინი ითვალისწინებდნენ იმ საშიშროებას ბურჟუაზიისათვის, რომელიც წარმოიშვა ლენინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

გენ. ლუკომსკი თავის დღიურებში აღნიშნავს:

„პეტროგრადის სიახლოვე საგრძნობი იყო. მთელი საპროპაგანდო ლიტერატურა, რაც პეტროგრადში გამოდიოდა ათასგვარ მოწოდებების, ფურცლების და სხვ. სახით, უკვე გამოსვლის მეორე დღის იყო ჩემი კორპუსის ნაწილებში. თითქმის ყოველდღე ჯარებში მიდიოდენ პროპაგანდისტები, რომლებსაც გზავნიდნენ პეტროგრადიდან. აპრილის ბოლოში, ლენინის ჩამოსვლის შემდეგ პროპაგანდა კიდევ უფრო გაძლიერდა აშკარა პროპაგანდა, რომელსაც ლენინი აწარმოებდა პეტროგრადში და რომელსაც ხელს უწყობდა (!??) დროებითი მთავრობა, შეუძლებლად ხდიდა მასთან ბრძოლას ჯარებში“.

მაგრამ უახლოესმა დღეებმა დაამტკიცეს, რომ ბატონი სტანკევიჩები ანგარიშში, მოსტყუვდნენ და მოწინააღმდეგეს ძლიერ ცოტა საფუძველი ჰქონდა სიხარულისათვის. მწერალი ჩირიკოვი, რომელიც იყო გრენადიორთა პოლკის ჯარისკაცთა მიტინგზე, „პირჟევია ვედომოსტი“-ს ფურცლებზე შეშინებული კითხულობდა — ვის მიჰყვებიან მასები: „კითხვა, თუ ვინ არის ამჟამად ჯარისკაცთა მასების ხელმძღვანელი —უდიდესი მნიშვნელობის საკითხია... მიტინგზე მრავალი ათასი ჯარისკაცი იყო. როგორ მოგეწონებათ თქვენ. მაგალითად, ასეთი სიტყვები: ერთი რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვიროს:—ამხანაგებო, არ დაუჯეროთ მთავრობას- როგორ შეიძლება მისი დაჯერება? იქ სხედან ბურჟუები და მემამულეები, რომლებიც სვამდნენ და სვამენ ჩვენს სისხლს და მხოლოდ იმას ფიქრობენ, თუ როგორ მოუღონ ბოლო რევოლუციას.. ვის დაუჯერებთ თქვენ ამხანაგებო—პროლეტარიატის ბელადს ლენინს თუ ბურჟუა როძიანკოს რომელსაც მრავალი ათასი დესეტინა მიწა აქვს? განა მათ სურთ თქვენთვის მიწის მიცემა? განა ასე არ არის, ამხანაგებო? და ჯარისკაცთა კრებულმა, რასაკვარველია, ერთხმად უპასუხა:

— ლენინს! ლენინს! არ გვჯერა მთავრობის.

ბოლოს და ბოლოს რა გამოდის პროპაგანდის ამგვარი მეთოდიდან? ჯარისკაცებს უნდა მიწა, როძიანკოს და მთავრობის სხვა წევრებს—მდიდარ ბურჟუებს და მემამულეებს—არ სურთ ამ მიწის მიცემა. ეს დასკვნა ემსგავსება ჯარისკაცის თავში ჩაჭედილ ლურსმანს“.

და დასასრულ ჩირიკოვი დაბნეული აცხადებს: „მე ტვინი მერევა. მე არ ვიცი რა იქნება შემდეგში. მე მხოლოდ ვხედავ, თუ რა ძლიერია ადამიანის სიტყვა. თუ როგორ აამოძრავა, აათორიაქა ლენინურმა თეორეტიკამ, თავისი შინაარსით ნიჭიერმა და უპატიოსნესმა, მაგრამ ასეთმა საშიშმა და მწვავემ ამ დღეებში, რომლებიც სისხლით სონთქავენ, თუ როგორ დასძრა მან ურიცხვი მასა“.

ლენინის ჩამოსვლის ამბავი სწრაფად მოედო ფრონტებს. ბურჟუაზიული და იბო-



ვ. ი. ლენინის ავტობიოგრაფიული ცნობის დაუმთავრებელი ავტოგრაფი.

რონცული პრესა ჯარისკაცებს შორის ავრცელებდა პოგრომულ შოვინისტურ ხმებს „დაპლომბილი ვაგონის“, „გერმანული ჯაშუშების“ შესახებ. ეს ხმები აღელვებდნენ ჯარისკაცთა მასას. ფრონტზე მყოფი ჯარისკაცთა მასა, რომელიც რევოლუციამ პირველად გააღვიძა პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რომელსაც მაშინ კიდევ არ ჰქონდა ის გამოცდილება, როგორიც ჰქონდა პროლეტარიატს და რომელიც არ უჯერებდა ბურჟუაზიულ პრესას, კითხულობდა:

— ვინ არის ლენინი?

1927 წელს ლენინის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მეტად საგულისხმო დოკუმენტი: „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს.

პეტროგრადი.

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერლებმა, მერვე ცხენოსან-საარტილერიო ბატარეის კომიტეტის წევრებმა, ჯარისკაცთა საერთო კრებაზე დავადგინეთ გამოგიგზავნოთ თქვენ შემდეგი შინაარსის წერილი:

ვინაიდან ბატარეის ჯარისკაცთა შორის დიდი კამათია ლენინის შესახებ, გთხოვთ რაც შეიძლება დაჩქარებით გვიპასუხოთ, რა წარმოშობისაა, სად იყო, თუ გადასახლებული იყო, რისთვის? როგორ დაბრუნდა რუსეთში და რა საქმიანობას ეწევა ამჟამად, ე. ი. სასარგებლო თუ საზიანოა ჩვენთვის ეს მოქმედება? ერთი სიტყვით, გთხოვთ დაგვარწმუნოთ თქვენი წერილით ისე, რომ ამის შემდეგ ჩვენს შორის ადგილი არ ექნეს არავითარ დავას, დროს ტყუილ უბრალოდ კარგვას და ერთმანეთის შეურაცხყოფას.

მერვე ცხენოსან-საარტილერიო ბატარეის ჯარისკაცთა კომიტეტი: თავ-რე

იაკოვლევი.

წევრები: პ. ბადენსკი, გრიცენკო, სტარიკოვი.

1917 წ. 24 აპრილი.

მომქმედი არმია“.

ეს შეკითხვა გაიგზავნა ლენინს და ის შეუდგა თავისი ავტობიოგრაფიული ცნობის წერას მაგრამ, როგორც სჩანს, დროის უქონლობამ, საშუალება არ მისცა მას დაემთავრებია იგი, ლენინის მთელ რიგმა გამოსვლებმა ყრილობებსა და მიტინგებზე, რომლებსაც ამის შემდეგ ჰქონდა ადგილი, მისი სიტყვები ფართოდ ცნობილი გახადა. მრავალმილიონიანი მასები გაჰყვენ ლენინს, ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების წინააღმდეგ და მისი სახელი გახდა დროშათ ბრძოლაში მშვიდობიანობისათვის, სოციალური რევოლუციისათვის.

ს. ბორისოვი.

## აგარის შაქრის ქარხნის საბჭოთა მეურნეობაში



ამხ. შერბაკოვის საუკეთესო კომკავშირელთა ბრიგადა, რომელმაც იანვარში რემონტიდან გამოუშვა 9 ტრაქტორი, გეგმითგათვალისწინებულ ექვსი ტრაქტორის ნაცვლად.

სურათზე — ამხ. შერბაკოვის ბრიგადა ტრაქტორის რემონტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეუქმნათ მძლავრი სამოქალაქო საჰაერო ფლოტი

## ჩვენ ყველას გვინდა ფრენა!

1930-დან 1932 წლამდე ინგლისის ტერიტორიაზე მოეწყო ათასზე მეტი მოედანი სუსტძალოვან აეროპლანებისათვის. ეს მოედნები მოწყობილია უმთავრეს და კერძო პირების—შეძლებული სპორტსმენების, მემამულეების, ბანკირებისა და ფაბრიკანტების მიერ კრიზისმა, რასაკვირველია, საგრძნობლად შეასუსტა ინგლისის ბურჟუაზიის გატაცება საავიაციო სპორტით, მაგრამ ექსპლოატაციაში იყოფ კერძო სუსტძალოვან აეროპლანების რიცხვი ამჟამად აღწევს ასეულ აპარატებს.

უკანასკნელ წლებში შეერთებულ შტატებშიც სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა კერძო სასპორტო და კომერციული ავიაცია, მაგალითად, აეროპლანი გადამწყვეტი როლი ითამაშა ალკოჰოლის კონტრაბანდის ტექნიკაში. ბუტლეგერების ხელში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოანგარიშებით, თავის დროზე იყო 2000-დე სხვადასხვა აეროპლანი. მსხვილ და საშუალო საწარმოებს, უნივერსალურ მაღაზიებს, საკომისიო კონტორებს, ერთი სიტყვით ყველას მოეპოება საკუთარი პატარა ესკადრილიები. კრიზისი მძლავრად შეეხო კერძო ავიაციას, საავიაციო ჟურნალების ფურცლები აჭრელებულია ათეული განცხადებებით კერძო „ავიაგარაჟების" გაყიდვის შესახებ: კრიზისით შევიწროებულნი ცდილობენ თითქმის ჩალის ფასად გაჰყიდონ თავისი ფრთოსანი რაშები. აეროპლანს შეერთებულ შტატებში ახლა იგივე ემართება, რაც თავის დროზე დაემართა აეროპლანს: ძველი მარკის და ისიც „ნახმარი" აეროპლანი არაფერი არ ღირს.

ასეა თუ ისე, მაგრამ დასავლეთში ავიაცია შევიდა ყოფა-ცხოვრებაში. აეროპლანებიდან შანტაჟის მიზნით ისროდნენ ბომბებს, აეროპლანებით იტაცებდნენ ბავშვებს და საცოლეებს, აწყობდნენ თვითმკვლელობის სიმულიაციას მილიონერები. ერთმა პატივცემულმა ლედიმ, გარეტიანებულმა უსაქმობით, ისიც კი მოახერხა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ, აეროპლანით რაც შეიძლება დიდ სიმაღლეზე აფრენის შემდეგ, თან წაყვანილ მუსლიმან მღვდელმთავრისაგან მუსლიმანობა მიიღო ჰაერში, ასე ვსთქვათ — ალლახისა და მისი მზეთუნახავ მხევალების ახლო.

მე შემთხვევით საშვალება მომეცა საკუთარი თვალით მენახა, თუ როგორ მოედო საავიაციო ციებ-ცხელება ძველ ინგლისს. ეს მოხდა მაშინ, როცა ძველმა ხევილანდმა ბაზარზე გამოუშვა მსოფლიოში პირველი ნამდვილი სასპორტო მანქანა, „ინტიმური" მანქანა, როგორც იმ წამსვე მონათლეს იგი მეოცნებე ფრანგებმა —მოდ-ბები. ეს აეროპლანი პირველი მოდელის საფუძველზე ღირდა 6.100 მანეთი ოქროთი. ამ ფასში შედიოდა სამი თვის სწავლა პილოტაჟისა, პილოტის ლიცენზია და ცხოვრების დაზღვევა. თანამედროვე სპორტო აეროპლანი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო იაფი ღირს. ავიაპროდუქციის სალების საკითხებზე მოიტეხა ფეხი ფორდის კომერციულმა გენიამ. ფორდმა სწორედ იმ ხანებში (1929 წლის ზაფხულზე) დაიწყო გამოშვება სამმოტორიანი აეროპლანების, რომლებიც არავის არ სჭირდებოდა ამ რაოდენობით.

მე ვიყავი მოწამე იმის, თუ როგორ მოფრინდა გვერდით ერთ-ერთ ნისლიან დილას კროიდონის აეროდრომზე, ლონდონის ახლო, ინგლისის ერთ-ერთ ნავთსადგურში ახლად შეკრებილი ფორდის სამმოტორიანი გიგანტი. საყურადღებოზე მას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. სპეციალისტებმა გვერდით შეხედეს მაშინდელი საავიაციო ტექნიკის ფორდის სენსაციას — დასაშვებ სამეურნეო მოწყობილობას, მაგრამ ჩქარა ისევ ზურგი შეაქციეს — იმ დღეს მათი ყურადღება მიპყრობილი იყო საავიაციო სეზონის მეორე სენსაციის მიერ სამმოტორიან აეროპლანით АНТ-9 „საბჭოთა ფრთები"-თ და თვით პროფ. ტუპოლევის მიერ, რომელსაც რეპორტიორები იღებდნენ მის მიერ აგებული აეროპლანის ფონზე.

და აი, ისინი იდგნენ გვერდით, ფორდის „სენსაცია" და ცენტრ. აერო-ჰიდრო-დინამური ინსტიტუტის დამკვირველთა პირმშო. ჩამოვარდა დაძაბული სიჩუმე. თვითეული აქ მყოფს, რომლებიც ერთიანეთს ვადარებდით ამ ორ აეროპლანს გვებადებოდა ერთი და იგივე კითხვა, რომელსაც, რასაკვირველია, სხვადასხვანაირად ვგრძნობდით.

— როგორ არის საქმე, ვინ ვის?

დუმილი დაარღვია სქელმა ინგლისელმა ინჟინერმა ბამბის კომბინეზონში, რომელიც იდგა საბჭოთა აეროპლანის ბორბალზე და ყურადღობილი. მან თვალი ჩაუკრა გუპოლევს და თავი გაიქნია ამერიკულ მანქანისაკენ:

— არაფერი ახალი არ არის პროფესორო, ხომ?

ეს იყო უდავო. ალლომ შემთხვევაში უდალატა ბაზრის დიდ მესაიდუმლეს. იმიტომ, რომ როცა კოხტა ვირაჟის შემდეგ, გამომწვევი თ ვხედობით გვერდითი ქარში დაშვებით ჩვენ თავს დაგვეცა ინჟინერი რაიტი. მოდ-ბებიზე, უსაქმო მაყურებელთა მასა იმ წამსვე მჭიდრო რგოლად შემოერტყა გარს ლითონის ჩიტს. და არც არის გასაკვირი: ეს იყო აეროპლანი, რომლითაც ყველას შეეძლო იმ წამსვე გაფრენა, ყველას შეეძლო მისი ყიდვა. ეს აეროპლანი უფრო ხლო იყო ხალხისთვის, ვიდრე სამმოტორიანი გიგანტი. პატარა „ბები" ხელმისაწვდომი და მისაწვდომი იყო.

აი ის, შემოვიდა ჩვენთან, ობივატელთა გულის მომგები. რაიტი, ინჟინერი, პილოტი, კონსტრუქტორი, ბაზრის დამპყრობი, გზაში იხდიდა ხელთათმანს, თავდაჭერილად ბრიტანულად მიმდინარე, თოვლივით წმინდა საყელოთი, შეუმჩნეველი მოხდენილობით, წმინდა ინგლისური მფრინავის გამომყურე: ჯენტლმენი-მფრინავი.

რას კვირველია, ყველაფერი ეს იყო რეკლამა: დაშვებაც გვერდითი ქარში, თოვლივით თეთრი საყელოც (მოდ-ბებიზე პილოტი რჩება ჯენტლმენად), ბრიტანული ღიმილიც კი (მოდ-ბები ამაღლებს თქვენს განწყობილებას). მაგრამ რეკლამა რეკლამათ. ფორდმა კი წაიფორხილა: **მასიური ავიაციის მომავალი — მხოლოდ მსუბუქ აეროპლანშია.**

გვიანი ფორდი ჩქარა მიხვდა შეცდომას და განაცხადა, რომ ახლო ხანში შეუდგება მსუბუქი სასპორტო აეროპლანების მასიურ გამოშვებას. მიხვდა, მაგრამ მოუსწრო კრიზისმა: აეროპლანების მასიურ წარმოებაზე იმ მასშტაბით, როგორადაც ფორდი ოცნებობდა, რაღაც არაფერი ისმის დღემდე.

ხევილენდის ფირმა არ დაკმაყოფილდა იმ დილის პატარა სარეკლამო ტრიუკით (ჩვენ მაშინ გვიყურებდნენ, როგორც კარგ მომავალ მყიდველებს. ინგლისელ ინჟინერებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ „საბჭოთა ფრთების" ვიზიტიდან ოთხი წლის შემდეგ, ჩვენ საჰაერო სახმის სივრცით, რომლებზედაც იფრენენ საკუთარი წარმოების აეროპლანები, თუ პირველზე არა, მეორე ადგილზე მაინც გამოვალთ მსოფლიოში).

ხევილენდის ფირმამ მთელი პირველი სერია, ოროლი აეროპლანი, დანიშნა ევროპის გარშემო გადასაფრენად. გადაფრენაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ახლად დაქორწინებულნი: ეს იყო კოლექტიური საქორწინო მოგზაურობა. ორმოცი წყვილი ცოლქმარი სამი თვის ვადით, მოწესრიგებული ნოტარიალური აქტით, გაწვრთნილი იქნა აეროპლანის მართვის ხელოვნებაში (უაღრესად საიდუმლოდ). ოფი მოცემა წყვილს ცოლქმარმა საჩუქრად მიიღო აეროპლანი; მხოლოდ გაფრინდით, გენაცვალეთ. და რომ საბოლოოდ მოეკლა ბაზარი, ხევილენდის ფირმამ გამოაცხადა, რომ ის თვითონ, დამზღვევ საზოგადოების გარეშე, უზრუნველყოფს თითეულ წყვილ მგზავრის სიცოცხლეს 10.000 გირვ. სტერლინგით, სულ კი—400.000 გირ. სტერლინგით, ე. ი. თითქმის მთელი თავისი ძირითადი კაპიტალით.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ გადაფრენა დამთავრდა უავარიოთ. ჯენტლმენებმა დასთმეს გოლფის მოედნები და ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ აეროდრომების შეძენაში და სანამ საავიაციო კომპანიები წარმოების გარდაქმნას მოასწრებდნენ, ხევილენდმა მთელ მსოფლიოს მიჰყიდა თავის აეროპლანების—„ბების" უდიდესი რაოდენობა. აი რას ნიშნავს რეკლამა და ბაზრის გრძნობა.

⁂

მე ამ დღეს რაიტთან ვიფრინე ნისლისაგან თავისუფალ ლონდონზე პატარა „ბები"-ზე, რომელმაც გადატრიალება მოახდინა შეხედულებაში ავიაციაზე. ვერცხლისებრ კლაკნილებით მიცურავდა ქვევით ტემზა, უზარმაზარი ქალაქი გუგუნებდა ჩვენს ქვევით, ცურავდა ფაბრიკების ცისფერ კვამლში. რაიტი მაძლევდა მე საქმეს, ხელებს იდებდა ზურგს უკან, ხელს უშვებდა მართვას აწვებოდა აპარატს ფრთაზე; აცლიდა მას დამოუკიდებლად გასწორებას; უშვებდა ცხვირით ქვევით და აპარატი არ აკეთებდა „შტოპორს". და მიკროფონის მილში დაუღალავად რაკრაკობდა მისი ყრუ ბარიტონი: შეხედეთ, როგორი მანქანაა, ბავშსაც კი შეუძლია მისი მართვა: ასე იდესაც, გამოქნილი ვოიაჟერი, რომელმაც ოგისწრაფით მოწყენით შეპყრობილს შოთეული დანიშნულების ვაგონში საათობით ატრიალებდა თქვენ თვალწინ ნიმუშების ჩემოდნიდან ამოღებულ დაპატენტებულ შურვლის დასამაგრებლებს შეუდარება არ არის საწყენი რაიტისთვის, საქმე ნუ გაქვს: აეროპლანი დასავლეთში იმ ხანად გახდა **საბაზრო საქონელი**, აი რაშია საქმე!

იმავე დღეს, აეროპლანებიდან დაბრუნების დროს, მე ვესაუბრე კონსტრუქტორ



**სამოქალაქო მფრინავების და ავიაციის ტექნიკოსების პირველი გაერთიანებული სკოლა, რომელიც დონის როსტოვში მოეწყო 1930 წ., ამზადებს მფრინავებს და ტექნიკოსებს საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციისათვის. 8000 ფრენის საათში სკოლას არ ქონებია არც ერთი ავარია, რაც მსოფლიო მაჩვენებელს წარმოადგენს. ამ მიღწევისათვის სკოლამ ჯილდოთ მიიღო 100.000 მანეთი.**

**სურათზე —მოტორის გამოცდა რემონტის შემდეგ.**

კალინინს, რომელსაც შემთხვევით შე-
ვხვდი აქ, ლონდონში, საერთაშორისო სა-
ავიაციო გამოფენაზე. კალინინმა მხრები
შეიშმუშნა:

— მოდ ბები? იტყვით რაღა, თითქო რაღაც უნახავი რამ იყოს! ჩვენც, აი დაინახავთ, ვისწავლით ამგვარი მანქანების დამზადებას და არავითარი ფოკუსი აქ არ არის. იგრძვნეს ზაზრის განწყობილება, მოახვედრეს წერტილში. ეს არის და ეს მთელი სენსაცია! ვადა მოგვეცით!

სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და კვლავ ორ ადგილიან აეროპლანით მე თავს დავსტრიალებდი ქალაქს, და მფრინავი ზურგზე იკრეფდა ხელებს და პატარა აეროპლანი მიფრინავდა „თავისით" და ყველაფერი ეს არ იყო სიზმში. მხოლოდ ჩვენს ქვევით იყო არა ტემზა, არამედ პატარა ლელე ლოპანი და ვესტმენსტერის სააბატოს ძველი მუმიის ნაცვლად ფანტასტიურ ჩარჩოში გასცურდა ჩვენს თვალწინ ხარკოვის მრეწველობის სახლის უზარმაზარმა შენობამ.

დიახ, ეს იყო არა ლონდონი, არამედ ხარკოვი და არა მოდ-ბები, არამედ საბჭოთა სასპორტო აეროპლანი კ-9 და არა მაიორი ოიტი „მაჩეჩებდა" მე ახალ მოდელს, არამედ მფრინავი სნეგირიოვი. ისიც, სნეგირიოვიც მაძლევდა მე ხელში საჭეს. და კვლავ, ისე როგორც სამი წლის წინათ, მე ვიგრძენ დაუვიწყარი გრძნობა არა მარტო უპირატესობისა, არამედ საჰაერო მოგზაურობის წარმტაცი ყოველდღიურობისა, მისი არა მარტო ჩემთვის, არამედ საერთოდ თითეულისათვის მისაწვდომობის განცდა.

და აი მე ნაწყენი ვარ ჩვენი, დედამიწის ადამიანების მაგიერ, როცა ტრამვაიში, მატარებლის ვაგონში, მაღაზიაში შემოდის ტყავიანი მფრინავი, ვერცხლის ფრინველით ფრთაზე და ყველანი ჩაფიქრებული, ბინდგადაკრული თვალებით გასცქერიან მას უკან. ის ხომ ჰაერის, სხვა სამყაროს ადამიანია. და მისთვის ცნობილი და მისაწვდომია ის, რაც მიუწვდომია ძლიერ მცირე რიცხვისათვის. და მოუცლელი სტუდენტები მორიდებით უთმობენ მას გზას, და ცისფერთვალება ქალიშვილები ჩაუკრავენ მას თვალს, და ბავშვები ჩუმათ სინჯავენ მის პალტოს შავს ტყავს.

აი ერთი ნაცნობი მოქალაქე ქალი, სულ სკანდალურ მდგომარეობაში ჩავარდა. ის მოსკოვზე აფრინა მფრინავმა ბაბუშკინმა. ეს მოქალაქე თავს სთვლის კულტურულ ადამიანად: მას არ ეშინია დუშის მიღება, ტელეფონით ლაპარაკი. გაფრენის კი დიდხანს ეშინოდა, და სიცოცხლის რისკის გაწევა გაბედა ხოლმე მას შემდეგ, რაც მფრინავის ცნობილი სახელი გაიგონა.

ჰაეროპლანი დაეშვა. მოქალაქე გადმოფრინდა მიწაზე. მიწს თითქო არც კი ჰქონია ადგილი.

— მიხაილ სერგეევიჩ,—უთხრა მან, — მომეცით ცნობა, რომ მე მართლა ვიფრინე თქვენთან, თორემ სულ ერთია არავინ დაიჯერებს! თუ შეიძლება, ხომ შეიძლება.

და ხუთი წუთის შემდეგ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბაბუშკინი დარცხვენილი, სწერდა ერთად ერთს თავისებურ მანდატს, რომელიც ბევრ ადგილას ფელნით იყო გათხუპნული. ბეჭდის შემხედველს დიდხანს არ უნდოდა დაემოწმებია მფრინავის ხელისმოწერა ამ უჩვეულო დოკუმენტის უცნაურ ტექსტზე. ეს მოქალაქე დღემდე ინახავს თავის ჩანთაში ასეულ ხელისშეხებით გაქონილ ნახევრად გაცრეცილ ცნობას სხვა რელიკვიებთან—მეფის დროის მოჭრილ ორშაურიანებთან, ნეაპოლის ყურიდან მოტანილ ნიჟარებთან და მანიატურულ ამერიკულ კალამთან ერთად, რომელიც არასდროს არ სწერს.

მაგრამ რაც შეეხება ფრენას, ეს მოქალაქე მეტი არ გაფრენილა: ეშინია...

მე მწყინს ტყავიან მფრინავების მაგიერ და მოქალაქე-ქალის მაგიერ, რომელმაც

აილო მოწმობა გაფრენის შესახებ ისე, როგორც მწყინდა სამოქალაქო ომის წლებში ყრუ უკრაინულ სოფლებში, როცა ცნობისმოყვარე ქალიშვილები დიდხანს და მორიდებით ათვალიერებდნენ ჩემ მიერ გახდილ კალოშს; კალოშმა და მიზანმა, რომლისთვისაც ის იხმარება, ტვინი დაუბნია მათ, როგორც ტეხნიკისა და კულტურის ფანტასტიურმა მიღწევამ.

ათი წლის განმავლობაში ჩვენში ზღაპრულად, ათეულ ათას კილომეტრზე გაიჭიმა საჰაერო გზების ხაზები. ჩვენ გვყავს



**ამხ. არდაშიანცი**

**ა.-კ. სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი — დამკვრელი.**

მუდმივი საჰაერო მგზავრები, მაგრამ ჩვენი ხაზების მეტი ნაწილი ჩვენი სარკინიგზო ხაზების დუბლიორობას ეწევა და ამიტომ მოწმობა გაფრენის შესახებ რჩება სენსაციურ დოკუმენტად.

*

ჩემს წინ დევს „იზვესტია"-ს 1923 წლის გაყვითლებული კომპლექტი. ჩვენ უკვე მაშინ ვსწერდით ალმასკომის, სასპორტო, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის შესახებ. ჩვენ უკვე მაშინ ვიცოდით, თუ როგორი აეროპლანები დაგვჭირდება და რისთვის. ათი წლის წინად მოეწყო სამოქალაქო ავიაციის საბჭო. უკვე მაშინ დაიწყო ფართო მასებში თანხების შეგროვება საბჭოთა ქვეყნის ავიაციისათვის. მაგრამ იმ პერიოდში მთელი ეს ლაპარაკი მეტ ნაწილად უტოპია იყო, ვინაიდან არ მოგვეპოებოდა ის, რითაც, უნდა გვეფრინა. არ გვქონდა აეროპლანები არც საკუთარი კონსტრუქციის, არც უცხოეთის, არც დიდი, არც სუსტძალოვანი.

ახლა კი ტრაბახის გარეშე შეგვიძლია ვსთქვათ: **ჩვენ გვაქვს საავიაციო მრეწველობა, ჩვენ დავეუფლეთ აეროპლანების მოტორების, საავიაციო ხელსაწყოების აგებისტეხნიკას. ჩვენ ვეუფლებით ექსპლოატაციის ტეხნიკას,** ჩვენ გაგვყავს ახალი გზები.

მაგრამ, რომ საჰაერო მიმოსვლის გზები გამოვიყენოთ ისე, როგორც ეს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მიმართ არის დასმული დღის წესრიგში ცეკას უკანასკნელი პლენუმის მიერ, **საჭიროა მკვდარი წერტილიდან დავსძრათ სუსტძალოვანი ავიაციის გავრცელება მასებში.** გავიდა დრო, როცა ჩვენ პირდაღებული უცქეროდით აეროპლანს მოდ-ბები, ვუცქეროდით მორიდებული ალტაცებით, როგორც ყრუ სოფლის მოსახლეობა უცქეროდა კალოშს.

და თუ მფრინავი სნეგირიოვი „მაჩეჩებდა" მე კ—9-ს მოდელს, ორადგილიან სასპორტო ყველასათვის მისაწვდომ აეროპლანს, ეს ამას იმისთვის შვებოდა, რომ აეროპლანები К-9, К-1о, АНР-4, 5 და 6 და ათეულობით სხვა სუსტძალოვანი აეროპლანების მოდელები ჯერჯერობით—**ერთეულებია,** რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მათი სერიული წარმოების ორგანიზაცია, გავრცელება მასებში.

და საკითხი უნდა დაისვას პირდაპირ: სუსტძალოვანი აეროპლანები, რომლებიც, არ მოითხოვენ რთულ ნაგებობათა მოწყობას, წარმოადგენენ ერთად-ერთ და ყველაზე სწრაფ საშუალებას ავიაციის—ამ ჩვენი დროის უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო ფაქტორის მთლიანად დასაუფლებლად და გამოსაყენებლად. სუსტძალოვანი აეროპლანები ყველაზე უფრო გამოსადეგია იმ მრავალფეროვან მიზნებისათვის, რომლებსაც უნდა ისახავდეს ავიაცია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო რეკონსტრუქციის პროცესში.

საჭიროა უკვე მეორე ხუთწლედის პირველ წელს **დავსძრათ აეროპლანები მასებში.**

ჩვენ ყველას გვინდა ფრენა!

**ა. გარინი.**

# აეროპლანი—სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამსახურში

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის სამმართველოში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება: დაიწყო სეზონი, ისევ აგუგუნდებიან მოტორები, კვლავ გაინავარდებენ ცაში აეროპლანები, რომ იბრძოლონ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის, მოსპონ მინდვრების, ბაღების, ჩაის პლანტაციების მავნებლები.

მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო ავიაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კალიას მოსპობის, მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

კალია ამიერ-კავკასიაში საბოლოოდ უნდა იქნას მოსპობილი. გეგმა ითვალისწინებს ბრძოლას 13,164 ჰექტარის სივრცეზე! კალიას გამოჩეკის საშუალებასაც კი არ მისცემენ—წინასწარ მოსპობენ მის საბუდარს.

კახეთში სასოფლო-სამეურნეო აეროპლანები მოსპობენ ხორბლის ნათესების მავნებლებს. 4000 ჰექტარს უნდა მოუარონ აეროპლანებმა! ოზურგეთის ჩაის რაიონზეც, 3000 ჰექტარ სივრცით, გადაიფრენენ ჩვენი მინდვრების მცველები, რომ მოსპონ ჩაის მავნებლები.

ავიაცია, რომელმაც დასვა საკითხი მალარიის სრული მოსპობის შესახებ საბჭოთა კავშირში ავიაციისა და ქიმიის თანამშრომლობის გზით და უკვე წარმატებით შლის მუშაობას მალარიის ველზე, ყარა-ჯალა




აეროპლანი გაფრენის წინ („თბილი- სის სასოფლო-სამეურნეო ბაზა)

მი; ალაზანზე ქობულეთში, 1933 წლის განმავლობაში, მალარიასთან ბრძოლას აწარმოებს 230000 ჰექტარ სივრცეზე! უკვე განვლილ წლებში იმ ადგილებში, სადაც აეროპლანებით სწარმოებდა ბრძოლა მალარიასთან, დაავადება 100-დან 7 პროცენტამდე დაეცა.

პირველად მიმდინარე წელს ტარდება წვრილთესლიან კულტურების, იონჯის თესვა ჰაერიდან და მინერალური სასუქის მოფანტვა მინდვრებზე. ავიორაზმები უკვე ადგილებზე არიან. საჰაერო თესვა უკვე დაიწყო. სველ ადგილებში, ტალახით ქცეული მიწით, რომლებშიც ეფლობა სათესი მანქანა, ვერ იძვრის ტრაქტორი, იქანცება ადამიანი,—საჰაერო თესვას ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან უკვე დადებულია ხელშეკრულება წყლით სარგებლობისათვის თვალყურის დევნების შესახებ, რაც მიუგომარეობს წყლის რესურსების წესიერად გამოყენებაზე საჰაერო კონტროლის დაწესებაში. წყალმა გაარღვია ზღუდე, გაავსო თხრილები, გადავიდა ნათესებში, წალეკვით ემუქრება ყველაფერს, რაც გზაში ხვდება. სანამ იმას გაიგებდეს ხელისუფლება, ხშირად გვიანი იქნება. აეროპლანები, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას გასწევენ მინდვრებს, თვისი სისწრაფის გამო ადვილად იხსნიან ნათესებს დაღუპვისაგან. წრეულს 200 საფრენი საათი აქვს დათმობილი ამ საქმეს.

ბამბის ნათესების მავნებლებთან ბრძოლას აეროპლანები აწარმოებენ 5.000 ჰექტარის სივრცეზე.

ამოცანები, რომლებიც მიმდინარე წელს დგას სასოფლო-სამეურნეო ავიაციის წინაშე, მეტად დიდია. ყველა ზომებია მიღებული ამ ამოცანების შესასრულებლად. ადგილებზე გაგზავნილია საწვავი და საზეთავი მასალა, მზადდება აეროპლანების დასაჯდები მოედანი.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ავიაცია შეივსო ახალი მფრინავთა—ტეხნიკური კადრებით, უნდა მიიღოს ახალი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ამ უდავო მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს მის შეუფასებლობის ცალკე ორგანიზაციების მხრივ. კერძოთ სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი ამ.-კავკასიის და საქართველოს საზოგადოებები დღემდე აჭიანურებენ ხელშეკრულებების დადებას, რაც ხელს უშლის აეროპლანების დროულ და გეგმიან მუშაობას. ამ შეუფასებლობას უნდა მოეღოს ბოლო, უნდა შევქმნათ მუშაობის ხელსაყრელი პირობები საბჭოთა აეროპლანისათვის, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მეურნეობას.

**არა-მფრინავი**

# აეროპლანი 1500 მგზავრისათვის



გერმანელ ავია-კონსტრუქტორის **ერიხ ბიუპლერის პროექტების** საფუძველზე, ამერიკელმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს უზარმაზარი საჰარო გემის პროექტი.

ამ საჰაერო გემზე დადგმული იქნებ 12 მოტორი, თითო ათასძალიანი. დაიტევს 1500 მგზავრს, ბარგს, ფოსტას და მოსამსახურე პერსონალს.

საჰაერო გიგანტის ფრთების სიფართოვე უდრის 183 მეტრს, სიგრძე—103 მეტრს.

ამერიკიდან ევროპაში გადასაფრენათ საჰაერო გემისათვის საკმაო იქნება 13 საათი.

ამერიკელი ინჟენერების განცხადებით, სავსებით შესაძლებელია პროექტის განხორციელება, მაგრამ იმ საშინელი ეკონომიური კრიზისის გამო, რომელსაც კაპიტალისტური მსოფლიო და კერძოთ შეერთ. შტატები



განიცდის, ინჟენერებმა თავის პროექტით ვერავინ დააინტერესეს იმდენად, რომ მისი რეალიზაციისათვის თანხები მიეღოთ.

**სურათზე:** ზევით მარჯვნივ საჰაერო გიგანტი (პროექტისთანახმად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. პუშკინი

# ავაზაკი ძმები

ქვავ-ყორანთ გუნდი კი არ მოფრინდა
ძვალთა გროვაზე, რომ სწიწკნონ ლეში,—
ღამით, ვოლგასთან, ცეცხლის გარშემო,
ავაზაკთა ბრბო შემოკრბა ტყეში.
რა სიჭრელეა სამოს-სახეთა,
გვარ-ტომობის და კილო-ენითა!
ქოხ-სენაკ-საკნით მოსულან აქა,
ძარცვის ქონების შესაძენათა!
მათი მიზანი: ცხოვრობენ მისთვის —
უხელისუფლოდ, კანონთ გარეშე.
აქ ჩანს ყაზახი, დონით ლტოლვილი,
მუდამ მებრძოლი და მოთარეშე,
ურია თავის შავ კულულებით,
სახე დინჯი და ქერა ფინელი,
და ტრამალების ველური შვილნი,
უშნო ყალმიკი და ბაშქირელი,
ციგანი, ყველგან მოხეტიალე,
მცინარე, ზაიტი და საშინელი.
რა აკავშირებს ამ საშიშ ოჯახს?
ხიფათი, სისხლი, სიცრუე, შური..
სულ აქ არიან, ვინც ბოროტების
განვლო ყველა გზა და საფეხური,
ვინც ქვრივის და ობლის უწყალოდ ჰკუწავს,

ვინც ბავშვის კვნესას ღიმილით ხვდება,
ვინც არ ინდობს, ვინც არ ზოგავს,
ვისშიც ჩამქრალა სიწმინდის გზნება,
ვისაც მკვლელობა ამხიარულებს,
და სისხლის ღვარი სიამით დაჰქლავს.
ვით პაემანი სიყვარულისა
ჭაბუკს, სატრფო, რომ ოცნებით დაჰყავს.
ირგვლივ დუმილი; მხოლოდ მთოვარე
აფრქვევს მკრთალ შუქს და ანთია ჭალად,
და ქაფმოდებულ ღვინის ფიალა
ხელიდან ხელში გადადის ლაღად.
ზოგთ მწვანით მოსილ და სველ მიწაზე
მისძინებიათ ფხიზელი ძილით,
და იმათ ბოროტ, ავაზაკ თავზე
ავი სიზმრები მართავენ ჟრიოლს.
სხვებს კი უმოკლებს უცხო მოთხრობა
უსაქმურ წამებს—რომ ტვირთავსთ ჭარბად..
აი გაყუჩდა ერთბაშად ყველა
და ახალ მოსულს უსმენენ ხარბად.
„ვიყავით ორნი: მე და ჩემი ძმა
და ვიზრდებოდით ერთად ტოლებათ;
ჩვენს სიყმაწვილეს ასაზრდოებდა

სხვისი ოჯახი, სხვისი ქონება.
მქონდა ცხოვრება უსიხარულო:
გაჭირვების ხმებს, მორტყმულთ რკალებათ,
კარგად ვიცნობდით და გვაღელვებდა
შურისძიების ფიქრთა წვალება.
არ შეგვრჩა ობლებს მტკაველი ველი
და არც ქოხმახი, თავშესაფარი;
ვცხოვრობდით მთის ძირს, გაჭირვებაში..
მოგვწყინდა ბოლოს ყოფა ამგვარი
და შევუთანხმდით ერთმანეთს მასში —
გამოგვეცადა სხვა ბედის ხელი;
და ავირჩიეთ ამხანაგებათ
ბასრი ბებუთი და ღამე ბნელი;
დავაგდეთ შიში და მწუხარება
და სინდისიც შორს განვდევნეთ, მღრღნელი.

„ახ, დაკარგულო ახალგაზრობავ!..
ცხოვრება მაშინ გვასმევდა შარბათს,
როცა დალუპვას ზიარით ვუცქერდით
და ყოველივეს ვიყოფდით ხარბათ.
მახსოვს, როს მთვარე ამოვიდოდა,
დაებნეოდა ცის გუმბათს ლილად, —
საშიშ განზრახვის შესასრულებლად
გამოვძვრებოდით სოროდან ფრთხილად.
ვიჯექით ტყეში, ხეთა ძირებთან,
გზის პირას, ტევრი გარს რომ ბურია,
უთვალთვალებდით მგზავრს ნაგვიანებს —
საწყალ ხუცესს თუ მდიდარ ურიას.
საკმაო იყო ერთი ბრძანება —
და ყველაფერი სულ ჩვენ გვრჩებოდა.
და, მახსოვს, კიდევ, სუსხიან ზამთრის
ყრუ ღამეებში ასეც ხდებოდა:
ვუბამდით ეტლში მარჯვე ცხენებსა.
ჟღერ გვაშინებდა ქარის ხმაური,

და ფინთიხივით მივქროდით თოვლში
სტვენით, სიმღერით, აურზაურით.
ვის არ აკრთობდა ჩვენი შეხვედრა?
ვის არ აფრთხობდა ჩვენი სახელი?
ხშირად დუქანსაც ვესტუმრებოდით,
სადაც ბჟუტავდა ოდნავ სანთელი;

ვურტყამდით კარებს მკაცრი შეტევით
და დიასახლისს ვიწვევდით იმით;
რაკი გზა ჰქონდა — გვიღებდა კარებს,
გვავედებოდა ტკბილად, ცბიერის ღიმით;
შევდიოდით და — სუყველაფერი
მოგვერთმევოდა მუქთად და ნებით:
ვსვამდით, ვჭამდით და ლამაზ გოგოებს
ვეხვეოდით და ვკოცნიდით ვნებით!..
„მაგრამ რა? ბოლოს მაინც გავებით,
მოკლე გამოდგა განცხრომის წლები:
დაგვიჭირეს და მჭედელმა მყისვე
ერთმეორეზე მიგვჯაჭვა ძმები.
ჩაგვსვეს ციხეში. მაშინ ხუთი წლით
უხნიერესი ვიყავი ძმაზედ
და, როგორც მთელს და ჯან-ღონით სავსეს
მეტის ატანაც შემეძლო მაზედ.
მძიმე ხუნდებს და დახუთულ კედლებს
მე გადავურჩი — ის ავად გახდა
და, ძლივს მსუნთქავი, სიცხიან თავით
დამეყრდნო მხრებზე.. მიშველა.. წახდა,..
კვდებოდა ის და იძახდა ხშირად:
„მე აქ ვიხრჩვები!.. მე მინდა ტყეში!..
წყალი, ახ, წყალი!..“ მაგრამ ამაოდ
წყლით სავსე ჭიქას ვაწვდიდი ხელში:
მე კი, დაძლევით საშინელების,
ვცდილობდი რითმე მეცა ნუგეში,
შემეშრო ცრემლი და გახმედევნა
მისგან ოცნება, ფუჭი, უხეში;
მაგრამ ამაოდ: უღრან ტყით მოსულს,
უჭვრეტ და იგი ცეკვას მკვდრებისას:
ხან მოესმოდა მათი ჩურჩული,
ხან — თქარათქური მდევართ ფეხისა,
ან კი ხედავდა, სასო მიხდილი,
მოედანს, შავბოძს, მრისხანე ჯალათს
მათრახს და ხალხის უგულო ბრბოსა.
სხვადასხვა კუთხით მომავალს ჯარად.
და უელავდა თვალნი ველურად,
თმა კი ტყესავით უდგა ჯაგარა,
და ცახცახებდა, როგორც ფოთოლი,
და განწყობილი იყო სხვაგვარად.
ბოლოს ჰკარგავდა გრძნობას და მკერდზე
დამეცემოდა ძმა — მოჩვენება.
ასე ვათრევდით დღეებს, ღამეებს,
ჩვენთვის არც ძილი, არც მოსვენება.
მაგრამ თავისი ქმნა სიჭაბუკემ
და დაუბრუნდა ძმას ისევ ჯანი:
გაშორდა სენი უსაშინლესი
და მასვე გაჰყვა ლანდების ჯარიც.
ისევ გავცოცხლდით და ძველ ყოფაზე
ატირდა გული და დაიბინდა·
სულს მძლედ მოსწყურდა ტყეში ნავარდი
და მინდორ-ველის ჰაერი წმინდა.
გულსა გვიმღვრევდა საკნის სიბნელეც,
რკინის ბადიდან ნატყორცნი სხივიც,
ბორკილთ ჩხარუნიც, ჩიტის ფრთების ხმაც
და შეძახილიც დარაჯის, ცივი.
ერთხელ ქალაქის საპყრობილისთვის,
ფეხებზე მძიმე და შავი ხუნდებით.
ვკრებდით ქუჩებში მოწყალებასა
და ვჩურჩულებდით „ნუ დავბრუნდებით“.
და გადავსწყვიტეთ ღრმა სიჩუმეში,
დომ დღეს სრულგვეყო დიდხნის წადილი.
გვერდზე მდინარე მიხმაურობდა,
ზვირითი ზვირთს სცემდა, ქაფში გაზრდილი.
მივედით მასთან ნელის ნაბიჯით —
ბუხ! გადავეშვით შიგ უცბათ ქედით.
მივცურავდით, და ხუნდიან ფეხებს
ვსცემდით მძლე ტალღებს და მივარღვევდით.

ახლო კუნძული ჩნდა, ქვიშიანი,
და ჩვენც იქითკენ გვეჭირა გეზი.
„დაიჭით!.. წავლენ!.. ახ. არ გაუშვათ!..“.
ისმოდა უკან განგაში, მქეხი.
ცურვით გამოგვყვა ორი დარაჯი...
მაგრამ ჩვენ უკვე კუნძულს ვეწვიეთ,
დავლეწეთ ქვებით მძიმე ხუნდები
და ნეტარების წამებს ვეწიეთ.
შემოვახიეთ ერთმანეთს ტანზე

სამოსი სველი, მძიმე ვით ტყვია
ვოცნებობთ მაზე — გავცუროთ წყალი
და შევეფაროთ მიდამოს ტყიანს.
ვხედავთ — მდევარი გვიახლოვდება,
ვზივართ და უცდით ბედის განაჩენს:
ჰა, აგერ ერთი უკვე იხრჩობა
და საეჭვოა, რომ ის გადარჩეს;
ხან დაიკვნესება, ხან წყალს შეხვრეპავს,—
და იძირება ტყვიის სიმძიმით.
მეორემ უკვე გადმოსჭრა სიღრმე,
მოდის პირდაპირ, თოფის ციმციმით;
ჩემს შეძახებას არ უგდებს ყურსა,
მაგრამ ორი ქვა უცებ გაფრინდა
და გადაესხა ცივ ტალღებს სისხლი —
ელვა გამოკრთა წითელ ქაფიდან:
იგი დაიხრჩო — ჩვენ კვლავ მივცურავთ,
ვერავინ ბედავს გამოდევნებას;
მივწვდით ნაპირებს, ტყეს შევეფარეთ.
მდინარეს გარს რომ ერტყა ტევებათ
მაგრამ ეჰ! საწყალ ძმის სუსტმა ჯანმა
ვერ აიტანა ტალღებთან ბრძოლა:
მოულოდნელად კვლავ ავად გახდა —
და ისევ შიში, ლანდები, ძრწოლა.
სამ დღეს უსიტყვოდ იწვა სნეული,
არ მოუხუჭავს წუთითაც თვალი·
ჩანდა. აღსასრულს მიახლოვდა
და შემოერტყა სამარის რკალი.
მიხმო და ხელში ჩამჭიდა ხელი,
მიმქრალ თვალებით სევდა დაღვარა,
ამოიგმინა, მიმეყრდნო მკერდზე
და დაიძინა ასე, ამ გვარად.
სამ ღამეს თავზე ვადექი ცივ გვამს,
არ გამოვსულვარ წუთითაც გარეთ;
მეგონა — ისევ გაიღვიძებდა
და მოლოდინში ვსტიროდი მწარედ.
ბოლოს ავიღე ბარი, ნიჩაბი
და, ღრმა სამარხი გავთხარე როცა,
ძმის ცივი ნეშტი ცივ მიწის წიაღს
მივაბარე და წარმოვთქვი ლოცვა.
და ისევ ძველ გზით... მაგრამ სადღაა
ძველი წელნი და ძველი განცდები?
თითქო ისინი არც კი ყოფილან,
სიცარიელეს მხოლოდ ვაწყდები:
ლხინი, ხალისი, შმაგი თავდასხმა —
ყველა წაიღო ძმის ცივ სამარემ!
დავდივარ ეხლა სევდით მოცული,
გაქვავებული სულის ამარა.
მაგრამ ხანდახან დალმეჭილ სახეს
მეც ვიბრალებ და ვარ მისი მცველი:
უიარაღო მოხუცის სამტროდ
არ იწევს ჩემი უწყალო ხელი;
მახსოვს ციხე და ხუნდებ გაყრილი
ავადმყოფი ძმა, იქ რომ კვდებოდა,
მოხუცისათვის, თვალებზე ცრემლით,
როგორ მთხოვდა და მევედრებოდა“.
სთქვა და დადუმდა უცებ ყაჩაღი,
ჰმუნვამ დაადო შმაგ თავს ყადაღა,
და მისი სახის კუშტი ხატება
მდუღარე ცრემლმა მორწყო, დაღალა.
ამხანაგებმა უთხრეს სიცილით:
„შენ სტირი! კმარა, განდევნე სევდა;
რა საჭიროა მკვდრის მოგონება?
ჩვენ ცოცხლები ვართ: ლხინი სჯობს ჩვენდა“.

და ამოძრავდა ისევ საშმისი.
ლხინი მოუნდათ იქ მყოფთ, ყოველთა,
და შეუწყვეტილი წუთით ბაასი
ღვინის გავლენით კვლავ გაცხოველდა.
არის ყვირილი და ხმაურობა,
ამბავს და ტრაბახს არ უჩანს ბოლო;
სინდისს კი აძინავს ქვადქცეულ გულში:
ის გაიღვიძებს ჭირის ჟამს მხოლოდ.

თარგმანი ვ. რუხაძისა

# რ. ს.-დ. მ. პ. პირველი ყრილობა

**(1898—1933)**

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი სწრაფად წავიდა კაპიტალისტური განვითარების გზით. მართალია, რუსეთმა წააგო ყირიმის ომი და მისი ოცნება საგარეო ბაზრების (სათათრეთის ბაზრის) დაპყრობის შესახებ დაიმსხვრა, მაგრამ გლეხთა „განთავისუფლების" შემდეგ, გლეხობისათვის რა რიგ მძიმე პირობებში არ მოხდა ეს „განთავისუფლება", შინაური ბაზრის მოთხოვნილება სამრეწველო პროდუქციაზე მაინც გაიზარდა თვალსაჩინოდ, თუმცა თანდათანობით.

ზოგიერთი ციფრებიც კმარა ამის საილუსტრაციოთ, 1861 წლამდე წარმოიშვა რუსეთის სამრეწველო საწარმოების 15 პროც., 1861 წლიდან 1880-დე—23,5 პროც., 1881-დან 1890-მდე—61 პროცენტზე მეტი. 1861 წელს რუსეთის საფეიქრო ქარხნებში გადამუშავებული იქნა 2 ნახევ. მილიონი ფუთი ბამბა, 1881 წ.—9 მილიონი, 1901 წ.—16 მილიონი ფუთი. ამავე დროს რუსეთის მრეწველობა გადავიდა სამანქანო წარმოებაზე. 1875—78 წ. წ. ორთქლის ძრავების საერთო ძალოვნობა უდრიდა 114,987, 1892 წ. კი—345,209. სამანქანო წარმოების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტალურგიის განვითარებასთან. 1767 წ. რუსეთში გამოდნობილი იქნა 10 მილიონი ფუთი თუჯი, 1800 წ.—20,4 მილიონი, 1890 წ.—98 მილიონი, 1899 წ.—165 მილიონი ფუთი.

კაპიტალიზმის ძლევამოსილი განვითარება ძირს უთხრიდა არა მარტო სოფლად ძველად არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას და ნაროდნიკული სოციალიზმის ქვაკუთხედს—„ობშჩინას", არამედ ამასთან ერთად საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირველ რიგებში აყენებდა ახალ ძალას — მუშათა კლასს, რომელსაც ინტელიგენტი ნაროდნიკები ვერ ამჩნევდნენ ან თუ ამჩნევდნენ, სათანადოდ ვერ აფასებდნენ მის როლსა და მნიშვნელობას. მართალია, ნაროდნიკები ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში ქმნიან მუშათა ჯგუფებს, მაგრამ იმუდამ დავათ ამისა ისინი მუშებს არ აკუთვნებენ დამოუკიდებელ რევოლუციონურ როლს. გლეხობა—აი ვინ იყო მათი რევოლუციონური პროგრამის ცენტრში.



რ. ს.-დ. მ. პ. პირველი ყრილობის დელეგატები

ს. ი. რადჩენკო. ბ. ლ. ეიდელმან. ა. კრემერი. ნ. ვიგდორჩიკ.

თავისთავად ცხადია, რომ მუშური იდეოლოგია, თუგინდ ჯერ კიდევ სავსებით შეუმუშავებელი, ვერ შეურიგდებოდა ნაროდნიკულ შეზღუდულობას, განსაკუთრებით პოლიტიკური ბრძოლის დარგში, ნაროდნიკების წრეებში გაერთიანებულ ზოგიერთ მოწინავე მუშებზე უკვე 70—80-იან წლებში არც ისე მომხიბვლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ნაროდნიკების აგიტაცია „ბურჟუაზიულ" თავისუფლებათა და „ბურჟუაზიულ" პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ და ჰამაპაპური „ობშჩინის" ქადაგება (იხ. ა. ბუბნოვი—„ს.კ.პ. (ბ)"). მუშებში თანდათანობით იკიდებს ფეხს ამ ნაროდნიკული ზღუდეების გადალახვის და საკუთარ კლასობრივ პოზიციებზე დადგომის მიდრეკილება.

1874 წლის დამდეგისათვის ოდესაში არსდება „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი", რომელიც წარმოადგენს სამხრეთ-რუსეთის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრების და პუნქტების შეგნებულ მუშათა ცალკე რიცხოვან ჯგუფების გაერთიანებას. კავშირი მიზნად ისახავდა „მუშათა კლასის — კაპიტალის და პრივილეგიურ კლასების უღლისაგან განთავისუფლებისათვის და სამხრეთ-რუსეთის მუშების არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკური წესების წინააღმდეგ საბრძოლველად ორგანიზაციის იდეების პროპაგანდას".

ეს მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ისახავდა მუშური გაერთიანება, სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა იმასთან, რასაც ქადაგებდნენ და მიზნად ისახავდნენ ნაროდნიკები.

კიდევ უფრო მუშური ხასიათი ჰქონდა „ჩრდილოეთ რუსეთის მუშათა კავშირს", რომელიც დურგალმა სტეპან ხალტურინმა და „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირის" ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ზეინკალმა ვიქტორ ობნორსკიმ დაარსეს პეტერბურგში 1878 წელს. კავშირმა ფართო საგანმანათლებლო მუშაობა გაშალა, მოაწყო რუსეთში პირველი საბიბლიოთეკო „ქსელი" და სხვ. მაგრამ ეს არ იყო მთავარი მის საქმიანობაში. მისი მიზანი იყო მუშათა მოწინავე ფენების დარაზმვა „არსებული პოლიტიკური და სოციალური წყობილების დასამხობად". მის მოთხოვნილებებში შედიოდა — სიტყვის, კრებების და კავშირების თავისუფლება, არმიის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, გადასახადის დაწესება ქონების კვალობაზე, არაპირდაპირი გადასახადების მოსპობა და სხვ.".

ნაროდნიკულმა მოძრაობამ განიცადა სრული კრახი, რამაც აიძულა რევოლუციონური ნაროდნიკობის საუკეთესო წარმომადგენლები მოეძებნათ „ფასეულობათა გადაფასება". ევროპიულ სოციალიზმთან გაცნობამ ისინი დაარწმუნა, რომ ნაროდნიკული სოციალიზმის უტოპიურობაში და იდეალიზმი „ფაბრიკების სოციალიზმი". „ჩერნოპერედელცების" ერთი ჯგუფი—პლეხანოვი, დეიჩი, აქსელროდი, ვერა ზასულიჩი და სხვა ვასილ იგნატოვი საზღვარგარეთ აარსებენ (1883 წ.) „შრომის განთავისუფლების ჯგუფს", რომელიც ძირითადად უკვე მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე დგას.

ამ დროიდან იწყება მეცნიერული სოციალიზმის იდეების ფართოდ გავრცელება რუსეთის მუშათა მოძრაობაში, თუმცა თვით „მუშათა განთავისუფლების" ჯგუფი კიდევ არ იყო მთლიანად თავისუფალი ნაროდნიკული გავლენისაგან.

„ჯგუფი" ენერგიულად შეუდგა თავისი ლიტერატურის გადაგზავნას რუსეთში და კავშირის დაჭერას რუსეთის მუშათა ჯგუფებთან და წრეებთან. ამავე დროს ის ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა რუსეთის ნა-



თბილისი. სტუდენტთა ქალაქი.

რადიკალურ ემიგრაციასთან, რომლის მრავალი წარმომადგენელი შემდეგში მიემხრო „შრომის განთავისუფლების ჯგუფს". საჯარო დისკუსიები „ნაროდნიკებთან" ჯგუფს მატებდა ახალ ძალებს უცხოეთში სასწავლად გაგზავნილ ახალგაზრდობიდან, რომლებიდანაც მრავალი, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, ცოცხალ კავშირს ამყარებდა ჯგუფსა და ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებს შორის.

ამ დროისათვის რუსეთში უკვე არსებობდა მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **დ. ნ. ბლაგოევის** ჯგუფი, რომელიც ატარებდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პარტიის" სახელწოდებას (დაარსდა 1884 წ.). ამ ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ თვით ბლაგოევის შეფასებით მისი პროგრამა მეცნიერული სოციალიზმის, ლასალიანობის და ლავროვის იდეების ნარევს წარმოადგენდა, დიდი მუშაობა ჩაატარა, მან მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „რაბოჩი", რომელშიც თანამშრომლობდნენ პლეხანოვი და აქსელროდი. 1887 წელს თვითმპყრობელობამ მოახდინა ამ ჯგუფის ლიკვიდაცია.

1886 წ. არსდება ტოჩისკის ჯგუფი (პეტერბურგში), რომელმაც აღზარდა მთელი რიგი მუშები, რომლებიც შემდეგ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობაში.

1889 წ. ინჟინერი ბრუსნევი ხელმძღვანელობს მრავალრიცხოვან და გავლენიან მუშათა ჯგუფს.

სოციალ - დემოკრატიული ჯგუფების შექმნა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, რომელიც გრძელდება 90-იან წლებში, კიდევ უფრო აღრმავებს რევოლუციონური მუშათა წრეების ნაროდნიკული გავლენისაგან განთავისუფლების და მარქსიზმის პოზიციებზე გადასვლის პროცესს.

მუშათა წრეების და ს.-დ. ჯგუფების მოწყობასთან ერთად იქმნება რუსული მარქსისტული ლიტერატურა, რომელიც ამჟღავნებს ნაროდნიკობის რეაქციონურ ხასიათს.

1894 წელს გამოდის ვ. ი. ლენინის ბროშურა „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვის ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", დაბეჭდილი ჰექტოგრაფზე, 1895 წ. გამოდის გ. პლეხანოვის — „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის". ერთგვარი როლი ნაროდნიკების რეაქციონურ შეხედულებების გამომჟღავნებაში ითამაშა პ. სტრუვეს ბროშურამაც—„კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების შესახებ", მაგრამ ეს იყო ნაროდნიკობის კრიტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის პოზიციებიდან, ცდა მარქსიზმის გამოყენებისა ბურჟუაზიის მიზნებისათვის.

ლენინმა მაშინვე დაინახა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა მეცნიერული სოციალიზმის იდეებისათვის მარქსიზმის სტრუვესებური გასმარტება და სასტიკად გაილაშქრა მარქსიზმის ბურჟუაზიული დამახინჯების წინააღმდეგ წერილში — „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა სტრუვეს წიგნში".

ოთხმოცდაათიანი წლების მუშათა მოძრაობისათვის წრეების ფარგლები უკვე ვიწრო ხდება. საგაფიცვო მოძრაობის გაშლა დღის წესრიგში აყენებს ს.-დ. ტაქტიკის რადიკალურად შეცვლას—წმინდა პროპაგანდისტული მუშაობიდან მასებში აგიტაციაზე გადასვლას. თვალსაჩინო როლი ტაქტიკის ამ შეცვლაში ითამაშა ლენინის ბროშურამ „ვინ არიან ხალხის მეგობრები"..

მუშაობის ამ გარდაქმნის პირველ მაგალითს იძლევა, ლენინის თაოსნობით პეტერბურგში (1895 წ.) დაარსებული „მუშათა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი". კავშირმა აჩვენა, თუ როგორ შეიძლება და საჭიროა ნამდვილად მასიური, მრავალათასიან მოძრაობის ხელმძღვანელობა. კავშირმა განავითარა ინტენსიური ფართო მოღვაწეობა მუშათა შორის და ენერგიული მონაწილეობა მიიღო 1896-97 წ. გაფიცვების ხელმძღვანელობაში პეტერბურგში... ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ კავშირის გავლენა მუშათა მასაზე იზრდებოდა და მუშათა მოძრაობა დგებოდა მისი ხელმძღვანელობის ქვეშ" (ა. ბუბნოვი — „ს.კ.პ.(ბ)").



რ. ს.-დ. მ. პ. პირველი ყრილობის დელეგატები

მუტნიკ (გლებ). ა. ა. ვანნოვსკი. პ. ლ. ტუჩაპსკი. კ. ა. პეტრუსევიჩ.

1896 წ. ლენინი ციხეში ამუშავებს ს.-დ. პროგრამის პირველ პროექტს და ამრიგად დღის წესრიგში აყენებს ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საკითხს. პარტიის შექმნის საკითხი დასმული იყო აგრეთვე მოხსენებაში, რომელიც რუსეთის სოციალ - დემოკრატების სახელით ლონდონის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს წარუდგინეს პლეხანოვმა და პოტრესოვმა.

1897 წელს გამოდის ლენინის ბროშურა — „რუსეთის სოციალ - დემოკრატების ამოცანები",—რომელშიაც ნათლად და გარკვევით არის დასმული ერთიანი პარტიის ორგანიზაციის საკითხი:

„რუსეთის სოციალ - დემოკრატებს, — სწერდა ლენინი ამ ბროშურაში,—მოელის აუარებელი საქმეები გამოღვიძების გზაზე დამდგარ პროლეტარიატის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მუშათა მოძრაობის ორგანიზაციისათვის, რევოლუციონური ჯგუფების და მათი ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად, მუშების მოსამარაგებლად პროპაგანდისტული და რევოლუციონური ლიტერატურით, რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული მუშათა წრეების და ს.-დ. ჯგუფების გასაერთიანებლად ერთიან ს.-დ. პარტიაში".

ერთიანი პარტიის შექმნის პირველი ცდები ჯერ კიდევ 1895 წელს ეკუთვნის. 1895 წ. მოსკოველმა ს.-დ. გადასწყვიტეს, „შემოევლოთ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობის მოსამზადებლად და პარტიის პროგრამის შესამუშავებლად".

1890 წელს ნ. კრუპსკაია მიემგზავრება კიევში საერთო არალეგალური გაზეთის გამოცემის და ყრილობის მოწვევის შესახებ მოსალაპარაკებლად.

იყო მთელი რიგი სხვა ამგვარი ცდები.

მაგრამ პარტიის საფუძვლის ჩაყრის პრაქტიკულად განხორციელება წილად ხვდა კიევის ორგანიზაციას — „რაბოჩაია გაზეტა"-ს ჯგუფს. კიევის სოციალ - დემოკრატიული ჯგუფი დაარსდა ოთხმოციანი წლების დამლევს. მისი სახელწოდება რამდენიმეჯერ შეიცვალა — „ვპერიოდ"-ის, „რაბოჩეე დელო"-ს, „რაბოჩაია გაზეტა"-ს (ჯგუფის გაზეთის სახელწოდების მიხედვით). 1897 წ. კიევის ჯგუფმა პირველად სცადა დაეარსებია მთლიანი სოც.-დემოკრატიული პარტია, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან მიწვევას გამოეხმაურენ მხოლოდ პეტერბურგი, მოსკოვი და ივანოვო - ვოზნესენსკი. ყრილობის ნაცვლად მოეწყო კონფერენცია, რომლის დადგენილების თანახმად, „რაბოჩაია გაზეტა" გადაკეთდა სრულიად რუსეთის ს.-დ გაზეთად და გაშალა მუშაობა ყრილობის მოსამზადებლად.

1898 წ. 13 მარტს მინსკში შესდგა რუსეთის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ძლიერ მცირე რიცხოვანი იყო ეს ყრილობა, როგორც დელეგატებით, ისე წარმოდგენილი ორგანიზაციების რიცხვის მიხედვით: სულ 9 დელეგატი — ექვსი ორგანიზაციის წარმომადგენელი*).

სამ დღეს გაგრძელდა ყრილობის მუშაობა, მიღებულ იქნა პარტიის სახელწოდება, გამოტანილ იქნა დადგენილება ნაციონალურ საკითხზე (ეს იყო ერთად-ერთი საპროგრამო საკითხი, რომელიც გაირჩა ყრილობაზე), არჩეული იქნა ცენტრ. კომიტეტი — ეიდელმანის, კრემერის და რადჩენკოს შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მანიფესტის გამოშვება და პარტიის პროგრამის შემუშავება. პარტიის ცენტრ. ორგანოდ ცნობილი იქნა „რაბოჩაია გაზეტა".

ყრილობის საორგანიზაციო გადაწყვეტილებები ძალიან დაშორებული იყო იმ ამოცანებიდან, რომლებსაც პარტიის წინაშე აყენებდა რუსეთის მაშინდელი სინამდვილე. ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ისეთი დამოუკიდებლობის მინიჭება, რომ მათ შეეძლოთ უარი ეთქვათ ც. კ. დადგენილებათა შესრულებაზე სასტიკ. წინააღმდეგობაში იმყოფებოდა ცენტრალურ, დისციპლინიან პარტიის შექმნის ამოცანებთან, იმ საორგანიზაციო პრინციპთან, რომლებიც შეიმუშავა შემდეგში პირველმა „ისკრამ" ლენინის თაოსნობით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტიის ისტორიაში ეს ყრილობა, რომელმაც ხორცი შეასხა მთლიანი პარტიის შექმნის იდეას, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლა გამოაცხადა პროლეტარიატის უმთავრეს ამოცანად და თავის მანიფესტში პროლეტარიატი გამოაცხადა რევოლუციონური ბრძოლის ჰეგემონად, წარმოადგენს მნიშვნელოვან თარიღს — გამოსავალ პუნქტს მუშათა კლასის ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად.

ყრილობის შემდეგ, სულ მოკლე ხანში, პარტიის ცეკა დააპატიმრეს, „რაბოჩაია გაზეტა"-ს სტამბა დაარბიეს.

ამრიგად პარტიული ცენტრი განადგურებულ იქნა. მაგრამ არავითარ ძალას აღარ შეეძლო პარტიის უკვე ფართოდ ფეხმოკიდებული იდეის ჩაკვლა და განადგურება.

ე. მ—ძე.

---

*) „რაბოჩაია გაზეტა"-ს კიევის ჯგუფი —ეიდელმანი, ვიგდორჩიკი, კიევის ბრძოლის კავშირი — ტუჩაპსკი, პეტერბურგის კავშირი — რადჩენკო, მოსკოვის კავშირი —ვანნოვსკი, ეკატერინოსლავის კავშირი — პეტრუშევსკი, ბუნდი—კრემერი, მუტნიკი, კაც.

ალი არსენიშვილი

# რიჰარდ ვაგნერი

(გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო)



რიხარდ ვაგნერი არის უდიდესი წარმომადგენელი მუსიკალური დრამის, რომელიც წარმოადგენს სინტეტიკურ ხელოვნებას, სადაც მიზნად დასახულია დიდ, ემოციონალურად მძლავრ, და მასთან ისეთ მხატვრულ ნაწარმოების შექმნა, რომელშიაც გამოყენებულია ხელოვნების ყველა სახეობა—მუსიკა, პოეზია, ფერწერა (მხატვრობა) და დრამატიული პანტომიმა. ასეთ სინტეტიკურ ხელოვნების იდეას აყენებდა ბურჟუაზია თავისი რევოლიუციონური ზეასვლის მომენტში როგორიც იყო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლიუციის წინა პერიოდში — გლიუკის მუსიკა, 1848 წ. გერმანიაში — რიხარდ ვაგნერი და 1860—70 წ. წ. რუსეთში — მუსორგსკი. მაგრამ სათავე და პირველი მსოფლიო-ისტორიული ცდა მუსიკალურ დრამის შექმნისა ეკუთვნის ძველ საბერძნეთს, პერიკლესის ეპოქას, როდესაც უმწვერვალეს განვითარებას მიაღწია ანტიურმა სავაჭრო რესპუბლიკებმა, სადაც ესოდენი გასავალი ჰქონდა ბურჟუაზიული პიროვნების გმირობას, სამოქალაქო ვალისათვის თავდადებას და ამაღელვებელ გრძნობათა პათეტიკას, რამაც თავისი გამოსახულება ჰპოვა ესხილოსის, სოფოკლეს და ევრიპიდის ტრაგედიებში. ეს ტრაგედიებია სწორედ ის პირველი სახე, ჯერ კიდევ სავსებით განუვითარებელ მუსიკალურ დრამისა, რომელიც წარმოიშვა სავაჭრო კაპიტალის მაღალ განვითარებულ კულტურის ნიადაგზე და რომელიც შეიქმნა დასაყრდენი და ნიმუში შემდგომი ეპოქების ზეაღმავალ ბურჟუაზიის დრამატურგებისა და კომპოზიტორებისათვის. ჩვენამდე მოაღწია ძველ ბერძნულ ტრაგედიების მხოლოდ ერთმა ნაწილმა — პოეტურმა ტექსტმა, რომელიც წარმოადგენს მარტოოდენ სიტყვიერ სხეულს იმ რთული სცენიური ნაწარმოებისა, სადაც მასთან ერთად განუყოფელ მთლიანობაში მოცემული იყო სინკრეტული ანსამბლი, დეკლამაცია — რეჩიტატივები, დრამატიული პანტომიმები, საზეიმო ჰიმნები, სიმღერები და მასიური ხოროები.

საფრანგეთის საშუალო ბურჟუაზიის იდეურ განწყობილებათა გამომხატველი დიდრო ნამდვილი ენტუზიასტი იყო მუსიკალური დრამის, როგორც აქტუალურ, სინტეტიური ხელოვ. იგი მოუწოდებდა თავის დროის ყველა მოაზროვნეს რათა, მათ მიეცათ პოეტებისა, მხატვრებისა და მუსიკოსებისათვის დასაბუთება და საბაბი ასეთი ხელოვნების შექმნისათვის. ყოველთვის, როდესაც ბურჟუაზია, როგორც ფეოდალიზმის მიერ დამონებული ძალა, ემზადებოდა რევოლუციონურ გამოსვლისათვის და თავის ძალებს რაზმავდა გმირობის, ვაჟკაცობის და სხვ. სამოქალაქო ღირსებათა ნიშნის ქვეშ, იგი ზედმეტი „შთაგონებისათვის“ აუცილებლად მიმართავდა ანტიურ ტრაგედიის ნიმუშებს. მარქსი „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერში“ ასე ახასიათებს ბურჟუაზიის აქციას მსგავს მდგომარეობაში: „რევოლიუციურ კრიზისის დროს, ადამიანები დიდის გულმოდგინებით იშველიებენ წარსულის სულებს, სესხულობენ მათგან სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს და უძველეს დროთაგან ნაკურთხ კოსტიუმებში, უცხო ენაზე თამაშობენ მსოფლიო ისტორიის ახალ აქტს“-ო.

რიხარდ ვაგნერის შემოქმედებითი სიმწიფე დაემთხვა გერმანიის ისტორიის ისეთ მომენტს, როდესაც იგი თავის პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ განვითარების გზაზე, 1849 წ. რევოლუციის ახალ აქტს უახლოვდებოდა. თუ მანამდე გერმანიის იდეოლოგები წარმოადგენდნენ, მარქსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „თეორეტიულ სინდისს“, და მხოლოდ **„აზროვნებდნენ მასზე, რასაც სხვა ერები საქმით ანხორციელებდნენ“**, ახლა, რევოლუციონურ ზეასვლის სამზადისის დროს, როდესაც გერმანიის ბურჟუაზია ემზადებოდა ფეოდალიზმთან შებმისათვის, ვაგნერმა უარჰყო ტრადიციული გერმანული მუსიკალური რომანტიზმი, შუბერტის და სხვ. კამერულ მუსიკის ლირიკული, ჰვრეტითი განწყობილებები და აღადგინა ბეთხოვენის პერიოდულ სიმფონიზმის ხაზი. იგი უწოდებს თავს „მომავლის მუსიკოსს“, სწერს ამავე სათაურით თეორეტიულ გამოკვლევას, სადაც აღიარებს, რომ ძველი ესთეტიური შეგნება მიადგა ხელოვნებისათვის ჭეშმარიტად მომაკვდინებელ დასკვნას, რომლის მიხედვით წმინდა რეაქციონურ გულმოდგინებით **მხატვრულ აბსოლუტობ**[illegible] და უაღრესად რეაქციონურ ქადაგებას ეწირება რეალისტურ და ცხოვრებასთან განუყრელ კავშირში მყოფ ხელოვნების სასიცოცხლო ინტერესები. ვაგნერი აღიარებს იმ დროისათვის მეტად ახალ და მოწინავე აზრს იმის შესახებ, რომ **ხელოვნებაში ჭეშმარიტი ნაწარმოების თავისებურება მდგომარეობს სწორედ მასში, რომ იგი ატარებს გარკვეულ დროის, გარკვეული ადგილის და გარეშე პირობების აშკარა ანაბეჭდს**, რომ თავის შემოქმედებაში გარემო მყოფთა შეგნებაზე და გრძნობაზე იგი როგორც გარკვეული მოვლენა განუშორებელია ზემო აღნიშნულ პირობებისაგან.

ვაგნერმა უარყო ტრადიციული „ოპერის“ ფორმა, რომელიც მისი აზრით არასოდეს არ ყოფილა სრულიად გარკვეული ფორმა, რომელსაც შეეძლებოდა დრამის მთელი შინაარსის დატევა და უფრო წარმოედგინა. სურვილისამებრ აღებულ ნარევს ცალკე სიმღერების, შემთხვევით შეერთებულ არიების, დუეტების, ტრიოს და სხვ., რომელთა მექანიკური შეერთება

მოთხოვნებს და ამასთანავე ტრადიციებით წარმო-ადგენდა ძველი ოპერის სახეს. თანამედროვე ოფიციალური ხელოვნება სამუდამოთ მოკვდა ჩემთვის მას შემდეგ,—ამბობს ერთ ალაგას ვაგნერი, როდესაც ჩემს წინადადებაზე ჩემი „ტანჰოიზერის დადგმის შესახებ ბერლინის ოპერის სცენაზე მიპასუხეს, ნება დაგვრთოთ ზოგიერთი ნაწყვეტები იღლიმზე შევასრულებინოთ სამხედრო მუსიკას.

ვაგნერი არასოდეს არ სარგებლობს სხვის ლიტერატურული ტექსტით თავისი ნაწარმოების დასაწერად, იგი არასოდეს არ „უყენებს“ მუსიკას სხვის სიტყვებს. იგი თვითონ ეძებს თემას, „მოაგონებას“, თავის დრამატიულ ნაწარმოებთა მიმართ იგი პირველ ყოვლისა თითონაა პოეტი, მაგრამ ამავე დროს პოეტი, რომელიც წინდაწინ გრძნობს მუსიკალურ გამოსახიერებისათვის საჭირო და აუცილებელ მომენტს. ვაგნერი უარყოფს ქრისტიანობის პრინციპს, როგორც მავნეს და ხელოვნებისათვის სავსებით უნაყოფოს და იზიარებს ელინისტურ, რეალისტურ მსოფლმხედველობას და ფეიერბახის შეხედულებათა სისტემას, რომელშიაც მოცემული იყო პიროვნების რადიკალური განთავისუფლება რელიგიურ ავტორიტეტის მეხრუქებისაგან და აღიარებული იყო სავსებით საღი, მატერიალისტური პრინციპი იმის შესახებ, რომ „ნამდვილია მხოლოდ ის, რაც მიღებულია შეგრძნობის საშუალებით“. ვაგნერი სწერს ოპერას „რიენტი“, რომში მომხდარ რესპუბლიკანური აჯანყების ეპოქიდან, სადაც პირველად ოპერის ისტორიაში მთავარ მომქმედ ძალად გამოყვანილია არა ცალკეული გმირი, არამედ მასა.

ახლოვდება გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია, ვაგნერი ამ დროს ლოტბარია დრეზდენის სამეფო ოპერაში. ბევრი ეცადეს მკვლევარებმა და ბიოგრაფებმა ვაგნერის დრეზდენის აჯანყებაში მონაწილეობის დამალვა და მიჩქმალვა, მაგრამ თავის თხზულებაში ავტობიოგრაფიაში („ჩემი ცხოვრება“—არსებობს მისი რუსული გამოცემაც 1911—12 წ.წ.) და ახლაც აღმოჩენილ საბუთებით საბოლოოდ დამტკიცებულია ის გარემოება, რომ ვაგნერი თავის მეგობრებთან—მუსიკოს რეკელთან და ცნობილ რუს ანარქისტ ბაკუნინთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა დრეზდენის აჯანყებაში და სწორედ მის კალამს ეკუთვნის დრეზდენის „სახალხო ფურცლებში“ მოთავსებული „მოთხოვნილებათა პროგრამა“, სადაც ჩამოთვლილია „ოქროს ბატონობისაგან“ გამომდინარე ყოველგვარ სოციალური უთანასწორობის მოსპობა, ფეოდალიზმის ნაშთების გაუქმება, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება, რესპუბლიკის გამოცხადება და სხვ. ვაგნერი იბრძვის ბარიკადზე დრეზდენის კომუნალურ გვარდიასთან ერთად, ესალმება ამბოხებულ რაზმელებს, პირადათ ავრცელებს მოწოდებას მეფის არმიისადმი და სხვ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვაგნერი იმ დროს სრულებით არ იცნობდა და არც იდგა მეცნიერულ კომუნიზმის ნიადაგზე, რომლის ფორმულა უკვე მოცემული იყო მარქსის და ენგელსის შრომებში. იგი წვრილ ბურჟუაზიულ-ბუნტარულ ანარქიზმის და უტოპიური სოციალიზმის გაურკვეველი მიმდევარი იყო. მალე მან სავსებით ნათლად და ამტკიცა თავისი „რევოლუციონური“ გატაცების ჭეშმარიტი ფასი. როდესაც გერმანიის ბურჟუაზიამ კაპიტულაცია მოახდინა ფეოდალიზმის წინააღმდეგ და დაუთმოვრებლად მუა გზაზე მიატოვა საფრანგეთის 1848 წლის კვალზე დაწყებული თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ვაგნერი გაიქცა საზღვარ გარეთ და აქ მასში თანდათან ხდება ის გარდატეხა, რომელმაც ესოდენ ღრმა კვალი დააჩინა მისი გენიის დაბინელებას და მოგვცა სურათი მე-19 საუკუნის უდიდეს მოაზროვნე მუსიკოსის იდეურ-მხატვრულ გზის გამრუდებისა, მისტიკის, რეაქციის ბნელეთისაკენ მიმართვისა ისეთი ხელოვანის, რომლის გაქანების უსაზღვრო ენერგია იმდენადვე თუ მოიპოვება კაცობრიობის შემოქმედების ისტორიაში. როდესაც ბურჟუაზიული რევოლუცია განიცდიდა ზეასვლის მომენტს, როდესაც „იმედი ყვაოდა“, ვაგნერი თავის შემოქმედებაში და აზროვნებაში მატერიალისტურ ფეიერბახიანულ ნიადაგზე იდგა, იგი აცხადებდა, რომ მისი მუსიკალური კონცეპცია ეკუთვნის ჰომაველს და მისი სცენიური განსახიერება შეუძლებელია სანამ რევოლუცია სავსებით არ აღგვის დედამიწის პირიდან არსებულ წესწყობილებასო, ახლა კი, როდესაც რევოლუცია დამარცხდა „და კვლავ დღესასწაულობდენ გამარჯვებული მტარვალნი“, მას იპყრობს „სამშობლოს სევდა“ და, თუმცა იგი გრძნობს რომ სამშობლო მას „ვერ დააკმაყოფილებს თავის თანამედროვე სინამდვილით“, მაგრამ რისიც მოცემა სინამდვილეს არ შეუძლია იგი მას ეძებს გერმანიის უძველეს წარსულში. აქ წინა ისტორიის ქაღარა ხანაში იგი გერმანულ თხზულებებში ნიბელუნგებზე პოულობს, მისი აზრით, ყოველგვარ ხელოვნურ, ისტორიულ-სოციალურ საშოსისაგან, ტრადიციულ სიდუხჭირისგან და უფლებრივ ნორმებისაგან „სავსებით თავისუფალ“ ნამდვილ ცოცხალ ადამიანს, სხვისაგან ზიგფრიდის სახეს, იგი ეძებს „წმინდა ადამიანურ სტიქიას“, რომელიც თავისუფალია ყოველგვარ ისტორიულ - ფორმალურ პირობებისაგან და ქმნის ზე-ადამიანურ მითს საზოგადოებრივი პირობების და ბრძოლის გარეშე მყოფ ადამიანების შესახებ, რომელნიც სიყვარულის სისავსის განცდის შემდეგ კლავენ თავის ნებისყოფას სიკვდილში და ამით სჯობნიან ინდივიდუალურ განცდის და მსოფლიოს შეგრძნობის შეზღუდულობას და მოჩვენებით ზღვრის.

ვაგნერის რეაქციის გზაზე დადგომის და მისი აზროვნების დაბნელების გზის. საკმაო მანათობელი იყო, როგორც თითონ აღიარებს, არტურ შოპენჰაუერი და მისი თხზულება „მსოფლიო როგორც ნებისყოფა და წარმოდგენა“, ვაგნერის იმედებისაგან გაძარცულ აზროვნებას, დაცემულობის გზაზე დამდგარ მის სულისკვეთებას თანხმოვანად გამოეხმაურა ბურჟუაზიის მზის ჩასვენების საუკეთესო ამსახველ მოაზროვნის შოპენჰაუერის სისტემა, რომლის შეხედულებათა მიხედვით მსოფლიო არის გრძნობათა მაცდური მოჩვენება, რომ უსაზღვრო სურვილების და სიხარბის, ნებისყოფის გაუმაძღარ მისწრაფებისაგან საუკეთესო განმათავისუფლებელ საშუალებას წარმოადგენს მუსიკა, რომელიც მიგვიყვანს სასურველ მირვანაში და ნებისყოფის მოკვდინსა და სიცოცხლისაგან განთავისუფლების სანატრელ საზღვრამდე. „ნიბელუნგების“ სამეფოში ეძებდა შეუბღალავ სულიერ სამშობლოს, მაგრამ ნამდვილად ეს იყო სინამდვილისაგან გაქცევა და „ჩვეულებრივ სილატაკის შეცვლა განუზომელ სილატაკეზე“ (მარქსი). ნიბელუნგებისაკენ მიმართვა იყო ილუზია, „ამამაღლებელი ტყუილი“, რომლითაც თავს ინუგეშებდა ვაგნერის დაბნეული გენია. ჰეგელი ამბობს თავის „ესთეტიკაში“, რომ ნიბელუნგების (იგულისხმება გერმანული სახალხო თქმულებები ნიბელუნგებზე) თავგადასავალი ნაციონალურ შეგნებისათვის წარმოადგენს მხოლოდ წარსულს. და უკვე დიდი ხნის პირწმინდათ აღგვილ ამბავს. და მისწრაფება, რომ მისგან შექმნილ იქნას ნაციონალური რამ.., არის მეტად ტრივიალური და გაცვეთილი ამბავი, ახალგაზრდულ აღფრთოვანების ხელახლად დანთების დღეებში. ეს იყო ეპოქის სიბერის ნიშანი, როდესაც იგი სიკვდილის წინ ისევე სიყმაწვილეს განიცდიდა და სტკბებოდა სამუდამოთ განწირულით და ისწრაფვოდა სხვებისათვისაც მიეწერა მისგან ნაგემი დღევანდელობის დაუფლების გრძნობა.

როგორც ამას წინად ჩატარებულ გოეტეს დღეებში გერმანიის ბურჟუაზია თავისი კლასობრივი მიზნების გასანაღდებლად იშველიებდა ყველაფერს, რაც კი იყო გოეტეში, ისტორიულად ჩამორჩენილი და მისი გენიის ულირსი, ისე ახლაც, ვაგნერის დღეებში, გულმოდგინეთ ითხზება რეაქციონური ფაშისტური ლეგენდა ვაგნერზე, როგორც გერმანული ნაციონალისტური სიძველის კულტის ქურუმზე. მაგრამ რეაქციის ამბორი უნდა აცდეს ვაგნერს არა იმიტომ, რომ მასში არ მომხდარა მისი გენიის გამამრუდებელი და ისტორიული ჩრდილის მიმყენებელი გაბზარვა ცხოველმყოფელ შემოქმედებითი რევოლუციონურ მთლიანობისა, არამედ იმიტომ, რომ იგი, ლუნაჩარსკის თქმის არ იყოს, მიუხედავათ თავისი გენიის დაავადებისა, რეაქციონურ უღირსობის მავნე იდეურ ხმოვანებით, მაინც ღირსეულად დადგება პროლეტარიატის სამსჯავროს წინაშე, რადგან მას ამის სრული უფლება აქვს, როგორც კულტურის ნამდვილ გმირს და პროლეტარულ სინტეტიურ ხელოვნების დიად წინამგრძნობს თავისი შემოქმედების საუკეთესო რევოლუციონურ მომენტებში.

## ცვალებადელები თესვის ფრონტზე



„წითელ-არმიელის“ და „კრასნი ვოინ“-ის რედაქციამ მოაწყვეს გამსვლელი ბრიგადა დახმარების აღმოსაჩენად თელავის რაიონის კოლმეურნეობებისათვის.

ბრიგადამ გამოამჟღავნა უცხო ელემენტები, რომლებიც აბრკოლებდნენ გაზაფხულის თესვას. გაზეთების ბრიგადის დახმარებით თელავის რაიონის ცვალებადელმა კოლმეურნეებმა კომკავშირთან ერთად მოაწყვეს მთელი რიგი ბრიგადები იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მომზადებულია თესვისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რამდენად არიან უზრუნველყოფილი თესლით კოლმეურნეები და ინდივ. მშრომელი გლეხები.

**სურათზე**—ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის ცვალებადელები ხვნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი დღე კულაშში

## „დანიელა ურია ჩვენში რამ გაურია“.

სამტრედიის სადგურზე თენდებოდა.

ღამენატევი გადმოვედით მატარებლიდან. „აბა ჩქარა, გავიდა ლინეიკა კულაშში“.

მიმოვიხედეთ. შემოგვესმა: მეეტლეების და მგზავრების ფუსფუსი.

ჩავჯექით ეტლში, რომელშიაც გაჭირვებით ხუთი ადგილია, ხოლო ჩვენს მეეტლეს როგორღაც მოუხერხებია შიგ რვა კაცის მოთავსება. მარჯვენა საფეხურზე კიდევ ფეხზე იდგა 14—15 წლის ცალხელა ყმაწვილი.

ჩვენი მეეტლე—ებრაელია, გვარად ხოტეველი, დღესაც მისი წინაპრები ცხოვრობდენ რაჭის მაზრაში, სოფელ ხოტევში. დღეს ხოტევში ებრაელები აღარ არიან, ხოლო სამაგიეროდ კულაში—ქუთაისის შემდეგ უჭირავს მეორე ადგილი. აქ ცხოვრობს 700 კომლი ებრაელი.

მეეტლე ლაპარაკობს თივაზე, ცხენებზე კონკურენციაზე.

მის გარდა, კულაშში კიდევ ყოფილა ოცი ებრაელი მეეტლე.

ეს ჩვენთვის პირდაპირ აღმოჩენაა. არც ერთი ჩვენთაგანი არ ყოფილა წინედ კულაშში და ამიტომაც ამ უბრალო ამბავმა ასე გაგვაკვირვა.

ხუმრობაა: ოცი ებრაელი მეეტლე?

თითო-თითო შეიძლება მოიპოვება აქა იქ. ახალციხეში, ქუთაისში, ონში—მაგრამ ოცი ერთად?

ვინც წინედ არ ყოფილა კულაშში, ვერც კი შეამჩნევს სად გათავდა სამტრედია, სად დაიწყო კულაში.

ცალხელა ბავშმა შეგვატყო: „ქალაქელი ხალხიაო“.

თავზე აილო „კულაშმცოდნეობის“ ინსტრუქტორობა.

გზაზე წაიწკრივებულან მაღალი ალვისხეები—უსიტყვო დარაჯებივით.

ლაპარაკობს ცალხელა ბავში:

ამ მამულობს ოდესღაც ფლობდენ თავადი მიქელაძეები.

ეხლა ამ ადგილებში მოთავსებულია სხვადასხვა კოლმეურნეობები. აი გადაღმა რომ ფართობი მოჩანს—იქ ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობაა.

ჩვენი ეტლი ექსპრესივით მიექანებოდა.

გვეშინოდა. ბავში არ გადავარდნილიყო. ხოლო იგი წარმშვენიერად იდგა და შიშის გრძნობას შორი ახლოს არ იკარებდა.

მიუხედავად ამისა, იგი საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებდა თავისი ცალი მკლავით. ჩვენ შევეკითხეთ თუ როგორ დაჰკარგა ხელი.

— მატარებელში—წყნარად გვიპასუხა.

ერთ-ერთმა მგზავრმა გვიამბო მოკლედ:

— ერთხელ ეს ყმაწვილი ქალაქში მიემგზავრებოდა თავის მამასთან ერთად. კულაშიდან სამტრედიაში რომ ჩავიდნენ, მატარებელი უკვე დაიძრა. მამამ მოასწრო ჩაჯდომა, ხოლო ბავში ჩავარდა ბორბლებქვეშ და მატარებელმა ცალი მკლავი გადასჭრა. საკვირველი ისაა, რომ როგორც მნახველები იმოწმებიან, რომ მან ვერც კი იგრძნო თუ რა მოუვიდა საჩქაროდ ამხტარა კიბეზე და ვაგონში მაინც შესულა.

ჩვენ ყვითლანი ჩაგვათრევა ამ ამბავმა.

შარა გზაზე ჩვენს ყურადღებას იპყრობენ აჟურჟიტებული, ფეხით მოხეტიალე ებრაელები, რომლებიც მიემართებიან სამტრედიიდან კულაშისაკენ, ან პირიქით.

კულაში, როგორც ჩანს, ადრე იღვიძებს.

— რა გვარი ხარ?—შევეკითხე ცალხელას.

— ჯანაშვილი—მომიგო პასუხად.

იმ მგზავრმა, რომელმაც მოგვიყვა ამ ყმაწვილის თავგადასავალი, საჭიროდ დაინახა უთქვა ორიოდე სიტყვა მისი მთამომავლობის შესახებაც.

— ნუ თუ მაგის მამას არ იცნობდით?

ცნობილი კაცი იყო—ცხონებული დანიელ ჯანაშვილი.

— დანიელ ჯანაშვილი?

— ჰო, მეტსახელად თავადიშვილებმა „დანიელა ურია“ დაარქვეს. საუცხოვო მომღერალი იყო. უიმისოდ საქართველოში სუფრა არ გაიმართებოდა.

მომაგონდა ჭაღარა კაცი, ოდნავ კოჭლი. იგი მოვიდა 1923 თუ 24 წელში, ტფილისში, მე 102-ე შრომის სკოლაში და მოიყვანა თავისი შვილი. მისი სახე იმდენად შეცვალა ასსიმილიაციას, რომ ძნელი გასარჩევი იყო ნამდვილი იმერლისაგან.

მართლაც—როგორც ბევრნი ლაპარაკობენ მას ჰქონდა ჩინებული ხმა, რომელიც იყო მისთვის გადაქცეული მის საარსებო წყაროდ.

თავის დროზე მის შესახებ შალვა დადიანმა სპეციალური წერილიც მოათავსა „თეატრსა და ცხოვრებაში“.

აი, ვუცქერი ამ ყმაწვილს და ვიგონებ მის მამას. დანიელა იყო—რაღაც თავისებური ექზოტიკური საქართველოს ებრაელთა შორის.

იგი უბრალო წრიდან იყო, ღარიბი ოჯახის შვილი და მას არ ჰქონდა არავითარი განათლება. მიუხედავად ამისა მისივე თანამოძმეთა სიტყვებით „რჯული ყელზე აღარ გასტეხა“ და სჭამა ღორის ხორცი.

მას უცქეროდნენ იმ ხანებში, როგორც რაღაცა განსაკუთრებულს.

როგორ იცვლება დრო!

მან სადღაც საავადმყოფოში—თითქმის ტკივილით დალია სული.

ხოლო მაშინ სუფრა და ნასუფრალი იყო ისი ხვედრი.

იგი მთელი ძალით და ღონით ხუმრობდა და მღეროდა რომ ესიამოვნებინა მთვრალი თავადიშვილობისათვის. რის შემდეგაც „მხიარული კამპანია“ ერთხმად შემოსძახებდა:

„დანიელა ურია,

ჩვენში რამ გაურია“..

და დღეს რომ ცოცხალი იყოს, დანიელ ჯანაშვილი აღარ გაეკვირვებოდა, თუ „ჩვენში“ რამ გაურია..

## „ეკონომიჩესკი მეფურნე“

ეტლი გაჩერდა მოედანის მსგავს ადგილას.

ქუჩას გადაადიოდნენ მლოცველი ებრაელები—რომლებსაც ესხათ ტალითები და ედოთ თეფილინები.

ტალითი და თეფილინი—განუყრელი რელიგიური ნივთებია მორწმუნე ებრაელისათვის ყოველ დილაობით.

მორწმუნე ებრაელს, როდესაც ეჩქარება საქმეზე, შეუძლია სალოცავში აღარ წავიდეს და საკუთარ სახლშიაც ილოცოს.

ვიცქირები გარშემო.

კულაშის ებრაელთა უბანი არა ჰგავს ახალციხის, სურამის, ქარელის, ცხინვალის ან ონის ებრაელთა უბნებს.

აქაც პატარა ქოხმახებია, მაგრამ არც ისეა მიტყეპული, როგორც დასახელებულ პუნქტებში.

მიუხედავად ამისა, გეტტოს სპეციფიკა მაინც შესამჩნევია „საქართველოს ბერდიჩევი“.

როცა—ვუკვირდები ქუჩაზე მყოფ ხალხს, გული მტკივა.

ნუ თუ ეს მლოცველები, ზოგიერთი საქმოსნები, ფეხით მოხეტიალენი და მეეტლეები—შეადგენენ კულაშის ებრაელთა მოსახლეობას?

სად არიან აქ ახალი ებრაელები?

ახალი ებრაელები—მოედანზე არ მოჩანან. ისინი ალბად კოლმეურნეობის მინდვრებზე არიან.

ხოლო ისინი, ვინც აქ მოედანზე იმყოფება,—საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

სიღარიბე და უკულტურობა ნათლად ისახება მათ პირისახეზე და დახეულ ჩუსტებზე.

ესენი არიან დეკლასირებული ელემენტები.

ოდესღაც ვაჭრობდენ: ზოგი მსხვილად, ზოგი წვრილად.

რევოლიუციამ მაგრად დასცხო მათ უხერხემლო პროფესიას. მას შემდეგ, ძველს გამოეთხოვენ, ხოლო ახალს ვერ მიეკედლენ.

დამაბრკოლებელი მიზეზი უმთავრესად—ძველი საუკუნეების ფსიქოლოგიური მემკვიდრეობაა.

ადვილი არ ყოფილა მისგან განთავისუფლება. რის გამოც საჭიროა დაუნდობელი და სისტემატიური ბრძოლა.

სამტრედიის წიწილებმა და კვერცხებმა იმ თავითვე გააჩინეს პროფესიონალი მოხეტიალეები.

ზოგიერთი ხმაწართმეულები—დღესაც არ იშლიან ძველ ხელობას, რაც არ უნდა მოხვდეთ ხელში მაინც ვაჭრობენ.

და ჩვეულებრივად, კულაშის ებრაელთა ერთი ნაწილის პროფესიას შეადგენს იგივე რაც დანარჩენ პუნქტებში.

ფეხსაცმელის წმენდა, ხელის ზურგის გადატანა, ეტლების და ლინეიკების საქმე, ხეტიალი და ჰაერის ყიდვა-გაყიდვა.

ხოლო ამ მოედანზე კიდევ ერთი საინტერესო პროფესიაა:

ერთ-ერთ პურის დუქანს, რომელსაც ფლობს ვინმე მირილაშვილი, მიკრული აქვს დიდი აბრა, რომელზედაც არის წარწერა მეტად ორიგინალური.



„ქარისტანის მემსის სახელობის კოლმეურნეობა (ქობულეთი)—თივის ალება.

ყოველ გამვლელს შეუძლია წაიკითხოს ნაფანტული და მოზრდილი ქართული ასოებისაგან შემდგარი ორი სიტყვა:

„ეკონომიჩესკი მეფურნე".

## „ბატონები"

ორი წლის წინედ, საქართველოს ებრაელთა ყოფაცხოვრების შესასწავლად, სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვიდან საკავშირო ხალხთა მცოდნეობის მუზეუმის ექსპედიცია. მას ხელმძღვანელობდა მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური მუზეუმის დირექტორი ლ. პლისეცკი, რომელმაც გაატარა ორი თვე მთელი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო კულაშს.

ამ მოგზაურობის შედეგები მას აღწერილი აქვს სპეციალურ წიგნში „საქართველოს ებრაელები". ერთ-ერთი ნაწყვეტი ამ წიგნიდან მან მოათავსა ჟურნალში „Воинствующий атеизм" (№ 3, აპრილი, 1931 წ.).

ამხ. პლისეცკის ყურადღება მიიპყრო კერძოდ კულაშის ებრაელთა ცრუმორწმუნოებამ და „ბატონების" პრობლემამ.

მის წიგნში მოყვანილია შემდეგი მაგალითი:

„კულაშში იყო ერთი კბილის ექიმი, რუსი ებრაელი, რომელიც შემთხვევით მოხვდა ოჯახში, სადაც ლოგინზე იწვა ყვავილით სახედასახიჩრებული და მძიმედ დაავადმყოფებული ახალგაზრდა. ავადმყოფის ლოგინთან წამოწოლილიყო დიდი მკრთა ქალი, რომელიც სწმენდა ავადმყოფს თეფშიდან, კბილის ექიმი საშინლად აღაშფოთა ამ ამბავმა და იმ ჯოხით, რომელიც ხელში ეჭირა, ქალი გარედ გააგდო. მაშინ ავადმყოფის დედამ საზარლად შეჰკივლა, დაეცა პირქვე და აღაპყრო ზეცისაკენ ხელები შემდეგი ლოცვით:

— შეუნდეთ მას, ბატონებო, უბედურ აშქენაზს*), რამეთუ მან არ იცის, რას სჩადის, იგი წყეული და შეჩვენებული"...

ასეთია მოკლედ ეს ამბავი, რომელიც მოგვითხრო ამხ. პლისეცკიმ, მაგრამ, რამდენად დამაფიქრებელია და ტრაღიული იგი.

მე ეხლა კულაშში ვარ და მაინტერესებს, თუ „ბატონებს" კიდევა ჰყავს დამორჩილებული ხალხი.

---

*) „აშქენაზი" — იგულისხმება ევროპიელი ებრაელი (საქ. ებრაელებს უწოდებენ „სეფარადებს", ე. ი. აღმოსავლეთის ებრაელებს).



აჭარისტანის მემსის საჭ-ბის სახელობის კოლმეურნეობა (ქობულეთი). კოლმეურნეობის წითელი კუთხე.



## პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის



ტრამვაის სამჭედლო სახელოსნოს საუკეთესო დამკვრელი ამხ. სარქისოვი, რომელმაც სრულიად მოსპო უვარგისი პროდუქცია. გეგმას სისტემატიურად ასრულებს 120 პროც.

---

ფაქტების ენა ულმობელია.

ამ შემთხვევაში სამწუხაროდ.

თუ პლისეცკის მაგალითში, ავადმყოფის დედა დარწმუნებული იყო, რომ „ბატონებს" უყვართ შინაური ცხოველები და, რომ მათი შეურაცყოფა ნიშნავს თვითონ „ბატონების" შეურაცყოფას — სამაგიეროდ სხვებს კიდევ გაუღრმავებიათ თავიანთი ცრუმორწმუნეობა.

„ბატონებს" კულაშში ჰქონიათ თავისი კოდექსი.

„ბატონებს" ბევრი რამ ეჯავრებათ".

„ბატონებს" ბევრი რამ „უყვართ".

— „ბატონებს" უყვართ სიწყნარე, ტკბილეული და ყოველგვარი საჭმელი.

— „ბატონებს" არ უყვართ ექიმები და წამლები.

— „ბატონებს" არ უყვართ ყინული.

აი, ერთ ოჯახში წევს ავადმყოფი 41 გრადუსი სიცხით. არავითარ შემთხვევაში არ ანებებენ ყინულის თავზე დადებას:

— „ბატონებს" ეწყინებათო...

უფრო მეტი: —

ებრაელები მიცვალებულებს ძალზე დასტირიან: განსაკუთრებით ქალები. ტირილი ხშირად განუწყვეტელი კივილის ხასიათს იღებს, ხოლო, თუ ავადმყოფი გარდაიცვალა, „ბატონების" მიზეზით, მაშინ ტირილიც არ შეიძლება: ვაი თუ „ბატონები" გაჯავრდენ და იმ ოჯახში სხვასაც დაავლონ ხელიო...

ჩვენ გვიამბეს, რომ ერთი კვირის წინედ —ერთ ოჯახში მოკვდა 4 სული, მათ შორის ორი ახალგაზრდა მოწინავე დამკვრელი კოლმეურნე...

კულაში—იყო აუღებელი ვანდეა.

აქ ყოველთვის ბატონობდა ებრაელთა შორის ყველაზე უფრო კლერიკალური და რეაქციონური ჯგუფი „აგუდათ-ისრაელი".

კულაშის ებრაელთა მრწამსი ყოველთვის შებოჭილი იყო ქუთაისით და ლიბავიჩით.

შორეული ლიბავიჩიდან, ხასიდების სექტის მამამთავარი ე.-წ. ადმორი ჰგზავნიდა თავის ერთგულ ხასიდებს და ისინიც ცრუ-

## ფართოდ გავშალოთ კულტმუშაობა კოლმეურნეობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თბილისის გარეუბანი) კულტმუშაკი—კომკავშირელი ამხ. ვაშაკიძე, რომელიც კულტმუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის წითელ დაფაზეა შეტანილი.

---

მორწმუნე ხალხში ავრცელებდა კიდევ ახალ ცრუმორწმუნოებას — რაბი ისრაელ ბაყალშემტობის კაბალისტიკას.

კულაშში დღემდე არ არის საავადმყოფო და კლუბი.

სამაგიეროდ — ექვსი სამლოცველო სახლია.

კულაშელი ებრაელი ჯერ კიდევ რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობაშია.

ახალმა თაობამ ბრძოლა დაიწყო ახალი ცხოვრებისათვის.

ამ ბრძოლის შედეგები უკვე მოჩანს.

მაგრამ საქმე ტემპებშია.

კულაშის ტემპები — სამარცხვინოდ ჩამორჩება რეკონსტრუქციის ეპოქას.

კულაშელი ებრაელის გარდაქმნა — ეს არაა პატარა საქმე.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არაჩვეულებრივი მზრუნველობით და სიყვარულით ეკიდებიან ებრაელთა შრომისა და ახალი ცხოვრების რელსებზე გადაყვანის საქმეს.

მაგრამ ეს არ კმარა.

ტფილისიც უნდა მიბრუნდეს კულაშისაკენ.

კერძოდ: კოლმეურნეობათა ცენტრი, ჯანსახკომი, განსახკომი, საქმმეუსი და საქოლარებკომი.

კულაშში არის ნედლი მასალა, რომელსაც ესაჭიროება დამუშავება.

კულაშში — არის მუშა-ხელი, რომლის კრიზისს ჩვენ განვიცდით ყოველ გზაზე.

კულაშში უნდა გაჩაღდეს დიდი კულტურული მუშაობა.

კულაშში უნდა გამოეცხადოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ცრუმორწმუნეობის ყოველგვარ ნაშთებს.

კულაშს უნდა ექნეს თავისი კლუბი.

კულაშში უნდა გაიხსნას საკუთარი საავადმყოფო.

კულაში — ერთხელ და სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი „ზეციური" და ეპიდემიური ბატონობისაგან.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

# სალიტერატურო მიმოხილვა

## I

## ბ. ჩხეიძე „ფერრო“

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებამ, „სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ, საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასვა არა მარტო ორგანიზაციულ - პოლიტიკური რიგის ამოცანები, არამედ — ასევე ახალი სახით დააყენა შემოქმედებითი საკითხებიც.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ცეკას ამ დადგენილებას თან მოჰყვა ახალი შემოქმედებითი ლოზუნგები. ეს ახალი შემოქმედებითი ლოზუნგები უშუალოდ გამომდინარეობენ ცეკას დადგენილებიდან.

მთელი საბჭოთა ლიტერატურის, თვითეული საბჭოთა მწერლის წინაშე დგას, როგორც უდიდესი მნიშვნელობის შემოქმედებითი ლოზუნგი — **სოციალისტური რეალიზმი.**

რა შინაარს ატარებს ეს ლოზუნგი?

სოციალისტური პროლეტარიატის თვალსაზრისით სწორად, მართლად და მხატვრულად იქნას ასახული სინამდვილე (ჩვენი — სოციალისტური და წარსულიც). ეს ლოზუნგი მწერლისაგან მოითხოვს მთელი განვითარების სისწორით და ობიექტიურად ასახვას, ამ სინამდვილის წამყვანი გზების მხატვრულ სახეებში მოცემას.

სხვადასხვა **მწერლებს სხვადასხვა** გვარად შეუძლიათ მივიდნენ ამ ლოზუნგთან. აქ უსათუოდ ადგილი ექნება ნიუანსებს. სასტიკად უნდა იქნას დაგმობილი შტამპის ტენდენციები.

რასაკვირველია, უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ სოციალისტური რეალიზმი ეს არის უბრალო განმეორება წარსული კლასების ლიტერატურული რეალიზმის, ამ უკანასკნელთან უბრალო დაბრუნება. **თვისობრივად** სოციალისტურ რეალიზმსა და წარსული კლასების ლიტერატურის რეალიზმს შორის არსებითი განსხვავებაა (მსოფლმხედველობა, მასალის ხასიათი, მხატვრული ძიებები, იდეური მიმართულება).

ჩვენი მარქსისტულ - ლენინური კრიტიკის წინაშე უდიდესი ამოცანები სდგას სოციალისტური რეალიზმის დამუშავების და კონკრეტიზაციის საქმეში საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებაზე.




ახალგაზრდა კადრებიდან საბჭოთა ლიტერატურაში უსათუოდ გამოირჩევა თავისი შემოქმედებითი მუშაობით **ბ. ჩხეიძე.** მისი ყოველი ახალი ნაწარმოები შემოქმედებითი ზრდის შესახებ ლაპარაკობს.

პირველი ნაწარმოები ბ. ჩხეიძის იყო „დღეები“. იგი ეხებოდა პროლეტარიატის დიქტატურის წინა პერიოდის საქართველოს (კონკრეტულად სამხრეთ-ოსეთის ცხოვრებას).

„დღეებში“ მკითხველის წინაშე წარმოსდგება მენშევიზმის ბატონობის ხანა, როდესაც შევიწროებული, უფლებრივად დამცირებული და კვლავ ძველი ბატონების ხელში მყოფი ოსეთის მშრომელი მასები აჯანყდენ პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. „დღეების“ მხატვრული განვითარება მკვეთრ კლასობრივ ბრძოლის გზით ვითარდება. მასში არ არის უგულებელყოფილი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი რევოლიუციონურ მოძრაობაში. ეს მოვლენა ნაწარმოებში პირიქით ხაზგასმულია (გოკაევი).

„დღეების“ უმთავრესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სქემატიზმის გზით ვითარდება. მოვლენათა სიღრმე, ადამიანთა ფსიქოლოგია მეტად ზედაპირულად არის ნაჩვენები. ნაწარმოებში იგრძნობა დაუძლეველი მექანიზმი მოვლენათა გაშლა განვითარების დროს. „დღეები“ კომპოზიციურად ვერ არის „მაგრად“ გაკეთებული. ალაგ-ალაგ მას „დაშლილობა“ ახასიათებს.

ბ. ჩხეიძის უკანასკნელი რომანი, „ფერრო“ სხვა ფონზე ვითარდება. რომანის სიუჟეტი ეხება რეკონსტრუქციის და გაშლილი სოციალისტური შეტევის პერიოდს. ამდენად „ფერროს“ აქტუალური ხასიათი უდაოა.

„ფერრო“ წარმოადგენს ცდას — ასახული იქნას ახალი მშენებლობის პათოსი. ავტორი, როგორც ძირითად მასალას თავის რომანისათვის იღებს ფერომშენის ისტორიას.

ჩვენ დიდათ შევცდებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ, „ფერრო“-ს ამოცანაა — მოგვცეს გაშლილი, მონუმენტალური სურათი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი ფრონტის. იგი მოფიქრებულია და განხორციელებულია, როგორც უფრო მოძრავი და „მსუბუქი“ ხასიათის ნაწარმოები. ეს მდგომარეობა ხაზგასმულია რომანის მთელი კონსტრუქციით.

„ფერრო“-ში კონკრეტული მშენებლობის ფონზე მოცემულია სოციალისტური ქვეყნის მშენებელ თავგანწირულ მებრძოლთა დაუვიწყარი სახეები. ასეთია რომანის საერთო მიმართება, საერთო ხასიათი. მაგრამ ამ მეტად რთული ამოცანების შესრულების გზაზე ბ. ჩხეიძეს უხდება დიდი წინააღმდეგობების დაძლევა (იდეური და მხატვრულ-ფორმალური ხასიათის), რასაც იგი ხშირად ვერც კი ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ ბ. ჩხეიძე მოვლენების და საგნების ჩვენების დროს უმთავრესად მისი გარეგანი მხარეებით არის დაინტერესებული. მათი დამორჩილებაც უფრო ეხერხება მას.

მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, რომ ბ. ჩხეიძე უფრო ყურადღებით ეპყრობა მოვლენების და საგნების გარეგან მხარეებს. სამწუხაროდ იგი ხშირად გამოდის, როგორც მათი **შორიდან მაყურებელი, შორიდან მჭვრეტელი.** ამის შედეგად ვღებულობთ იმას, რომ მისი საგნობრივი „პეიზაჟები“ თვითმყოფად სახეს ღებულობენ და არ უწყობენ ხელს სინამდვილის შინაარსის ნამდვილ გახსნას.



ბორის ჩხეიძე

მოვლენების და საგნების მხოლოდ გარეგანი მხარეების „სიყვარული“ საკმაოდ ბევრია „ფერრო“-ში.

სინამდვილის „მოზაიკური“ და ხშირად ზერელე ათვისება უმთავრესად გამოწვეულია მწერლის იდეური და ლიტერატურული დაუმუშავებლობით.

აქედან ცხადი ხდება: თუ რამდენს მოიგებდა „ფერრო“, რამდენად სრულყოფილი და ღრმა იქნებოდა იგი, რომ ბ. ჩხეიძე არ გაეტაცებია მოვლენების და საგნების ზერელე ჩვენებას.

„ფერრო“-ში საკმარისად არ არის გაშლილი კონკრეტული და ნათელი პერსპექტივა.

„ფერრო“-ში ბრძოლა ტემპებისათვის მოცემულია აბსტრაქტიულად, მისი სოციალისტური შინაარსის გარეშე. სოცშეჯიბრი რომანში არსებითად გამოყვანილია, როგორც წვრილ ბურჟუაზიულ - ინდივიდუალისტური **დაპირისპირება,** ვიდრე შრომის ახალი ფორმა.

რომანში მოისმის ფერო-მშენის ერთგვარი კარჩაკეტილობის, „კამერულობის“ მიდრეკილება, თითქოს ფერო-მშენი არ იყოს უწყვეტათ დაკავშირებული მთელ სოცმშენებლობასთან. ჩხეიძე თითქოს შემოიფარგლა ცალკეული, განზრახ გამოყოფილი ეპიზოდით. რასაკვირველია, მწერალს ჰქონდა უფლება აეღო სინამდვილის პატარა ნატეხი. მაგრამ აქაც საჭიროა მოცემული იქნას იგი, როგორც დიდი ისტორიული მოვლენის რგოლი. ბ. ჩხეიძეს „ფერროში“ უნდა მოეცა უფრო ღრმა და ფართე პერსპექტივა, ვიდრე ეს გვაქვს სინამდვილეში.

კლასიური მტრების აგენტები (კულაკი, **ინჟინერი**) რომანში რაღაც შემთხვევითობის სახეს ატარებენ. ბ. ჩხეიძემ იცის, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ კლასიური მტრების ნარჩენების სასტიკ წინააღმდეგობების პირობებში. კარგია, რომ ამას ხედავს ჩხეიძე, სწორია რომ მას მათი წარმომადგენლები — აგენტები შეჰყავს რომანის მოქმედებაში. მაგრამ ცუდია, რომ იგი ბოლომდე ვერ აზრებს ამ მოვლენას, არ აძლევს მას განზოგადოებულ სახეს. ჩხეიძეს ამ სახეების საშუალებით შეეძლო საფუძვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ოთანად ერვენება ...ში კლასიური მტრების ...რჩენების წინააღმდეგობა, მათი ბრძოლა ...ოცმშენებლობის წინააღმდეგ გაღრმავებ...და. რომანს, ...ამახვილებდა მის მებრძოლ, ...ტიულ მიმართულებას.

...ად უნდა ვეძიოთ ამ გარემოების მიზეზი?

იგი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩხეიძე ხში რად ვერც კი იმორჩილებს რთულ, ღრმა წინააღმდეგობებს და მხოლოდ მათ ზედაპირზე სცურავს.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პოლიტიკურად და მხატვრულად სწორად ჩაითვალოს ჩხეიძის „ექსპერიმენტი", რაც იმაში გამოიხატება, რომ ფერო-მშენის საქმის ინიციატორად გამოყვანილია ვინმე ვოლკოვი, რომელიც ურალიდან არის მოსული. რომანის შემდგომ განვითარებაში ირკვევა, რომ ვოლკოვი იგივე ზესტაფონელი მგელაძე ყოფილა. ვოლკოვს ადგილობრივ თითქმის არავინ იცნობს და მიუხედავად ამისა, იგი გამოდის ყველაფრის ინიციატორად, ყოველი საქმის დამწყებად. ჩამოსვლისთანავე იგი იწყებს უჩვეულო საქმიანობას, იძლევა პაროლს ფერო-მშენის დაწყებისათვის. იგი გამოდის დ...ქსაქსულ და უმოქმედო პარტიულ - პროფესიონალურ ძალების ორგანიზატორად. იგი თავს უყრის სხვადასხვა ჯურის ხალხს და მათი საშუალებით „ანარქიულად" იწყებს მუშაობას. მას ფერო-მშენზე მომუშავეთა შორის საეჭვო პროფესიის ხალხიც კი შეჰყავს (მაგ. ლოთები და სხვ.). ჩხეიძე ვოლკოვის როლს განზრახ აზვიადებს. იგი ყველაფრის შემძლედ ჰყავს გამოყვანილი (მშენებლობის, კოლექტივიზაციის და სხვ. დამწყები).

რისთვის იყო ეს საჭირო. განა სინამდვილეს არ ამახინჯებს ეს? განა მთელი მუშათა მასების და პარტიის ინიციატივით და თავგანწირული საქმიანობით ორგანიზაციულად არ შენდებოდა ფერო?

რომანის ღირსებას, მნიშვნელობას უსათუოდ ასუსტებს ეს პრინციპიალურ-პოლიტიკური ხასიათის ლიაპსუსი.

ბ. ჩხეიძის ყველა ნაწარმოებში და მათ შორის „ფერო"-შიაც იგრძნობა გენრის „ამერიკანიზმი", როდესაც მოვლენების გაშუქებისას მწერალი ჰკარგავს რეალობის შეგრძნობის უნარს და გადაჭარბებულ „ფანტასტიკაში" ვარდება. ჩხეიძე ხშირად ყოვლად დაუჯერებლად ამოქმედებს თავის გმირებს. რომანში წინააღმდეგობებს, დაბრკოლებებს მეტად იოლად და „კეთილად" სძლევენ, მსგავსად ამერიკულ კინო-სურათებისა. ყველაფერი ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედების ღადებით თვისებათ.

დასაკვირველია, „ფერო"-ს როგორც მხატვრულ ნაწარმოებს ბევრი კარგი მხარეც ახასიათებს.

რომანში გმირები არ არიან ნაჩვენები სტატიკაში. მთელი მათი ფსიქოლოგია მოცემულია არა როგორც თვითმყოფადი რამ, არამედ ის დაქვემდებარებულია საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესებისადმი.

რომანში მშენებლობის გმირები, ხუთწლედის ენტუზიასტები რელიეფურ სახეებშია მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს ნაწარმოების მასშტაბზე დიდი ადგილი არ უჭირავს.

ბ. ჩხეიძე დამაჯერებლად და მხატვრულად გამართლებულად იძლევა შეუგნებელ ადამიანთა გარდაქმნის, გადამუშავების პროცესებს (ბალმაშოვი, ბოგველაძე და სხვ.). ბევრი მათგანი სოციალისტური შრომის ენტუზიაზმმა დამკვრელობამდე მიიყვანა.

საერთოდ კი „ფერო" უსათუოდ არის ნაბიჯი წინ ბ. ჩხეიძისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მრავალი მხრით არ არის სრულყოფილი. „ფერო"-ს შეცდომები და სუსტი მხარეები უნდა გახდეს ერთგვარი გაკვეთილი ბ. ჩხეიძის შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის.



# ა.-კ. საალმშენებლო გამოფენა

პლეხანოვის პროსპექტის დასაწყისში მდებარე ყოფ. ძველი ეკლესიის შენობაში გაიხსნა ამიერ - კავკასიის პირველი საალმშენებლო გამოფენა. ეს ეკლესია უკვე კარგა ხანია „გააუქმეს" ხუცებმა, რადგან თითქმის არავინ დადიოდა სალოცავად. ახლა ამ შენობას შიგნიდან ვეღარ იცნობ: „წმინდანთა" სახეებმა ადგილი დაუთმეს სხვადასხვაგვარ მოდელებს, მაკეტებს, კონსტრუქციების ნიმუშებს, სხვადასხვა ნაგებობათა ნახაზებს და პროექტებს.



კონსტრუქციათა განყოფილება

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საგამოფენო კომიტეტი მიზნად ისახავდა საალმშენებლო ტექნიკის ზრდისა და მიღწევების მაქსიმალურად გამოქვეყნებას, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ურთიერთ გამოცდილების გაზიარებას და, დაბოლოს, — ტეხპროპაგანდას მშენებელ მუშებს შორის, რასაც ხელი უნდა შეეწყო მშენებლობის პროცესების რაციონალიზაციისათვის.

ეკლესიის შენობა შეუფერებელია ამგვარი გამოფენისათვის, ვიწროა და ამიტომ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოფენა გადატანილი იქნება სპეციალურ შენობაში, რომელიც ვაკეში შენდება. გამოფენის დათვალიერებისას, ცხადი ხდება უყურადღებობა, ამიერ - კავკასიის ორგანიზაციების, რომლებსაც, ნაგებობათა ინსტიტუტის გამოკლებით, არ მიუღიათ მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან საქმეში. გამოფენის ყველა ექსპონატები ძირითადად წარმოდგენილია მუდმივ საკავშირო საალმშენებლო გამოფენის მოდელების სახელოსნოს მიერ.

გამოფენა ნათელ წარმოდგენას იძლევა მშენებლობის უახლეს ტექნიკაზე, ფერმების უაღრესად საინტერესო სხვადასხვა კონსტრუქციებზე, აგურის წესიერად დაწყობაზე; რაც, სამწუხაროდ, აქამდე არ იცის ჩვენმა ბევრმა მშენებელმა, ადგილობრივ საალმშენებლო მასალების რაციონალურად გამოყენებაზე და სხვა.

მეტად საინტერესოა ახალ საალმშენებლო მასალების მრავალფეროვანი კოლექცია, მათ შორის — ტუფი, გიპროლიტი, კამიშიტი და სხვ., რომლებმაც უკვე მოიპოვეს პოპულარობა.

პირველი დღიდანვე გამოფენა იზიდავს მრავალრიცხოვან მნახველებს, პირველყოვლისა მშენებლებს. გამოფენაზე მოწყობილ ლექციამოხსენებებს უდიდესი ყურადღებით ისმენს მნახველთა მასა. გამოფენის ადმინისტრაციას განზრახული აქვს



ა.-კ. ნაგებობათა ინსტიტუტის კამიშიტის დადგმულობა

ლექციების და მოხსენებების ჩატარება ქარხნებში, საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე. განზრახულია აგრეთვე საალმშენებლო ფილმების ჩვენება კინო - ტეხპროპაგანდის კინო-თეატრში „დამკვრელი".

ამიერ - კავკასიის საალმშენებლო გამოფენა უაღრესად საჭირო და დროული საქმეა. ის დაეხმარება მშენებელ მუშებს და ინჟინერ - ტექნიკოსებს კვალიფიკაციის აწევაში, მუშაობის ახალ მეთოდებთან გაცნობაში. საჭიროა მაქსიმალურად დაჩქარდეს მუდმივ საგამოფენო შენობის აგება, რომ გამოფენას შესაძლებლობა ჰქონდეს ფართოდ გაიშალოს.



საინჟინერო ნაგებობათა განყოფილება.

ედ. შმ—ბი.

# ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [illegible] მოკლე ტალღოვანი რადიო-სადგური







თბილისში ამუშავდა მაგისტრალური მოკლეტალღოვანი რადიო-სადგური, რომლის დ ნიშნულებაა სატელეგრაფო ხაზების განტვირთვა და სატელეგრაფო კორესპონდენციის გადაცემის გაიაფება.

სადგურის მონტაჟი დაიწყო 1932 წ. სამუშაოთა უფროს ამხ. კვერნაძის ხელმძღვანელობით, მთელი მოწყობილობა წვრილმანი დეტალებიც კი დამზადებულია ა.-კ.ვ.კ. რადიომშენის სახელოსნოებში. რადიო-გადამცემი აპარატურის დამდგმელმა ბრიგადამ შეიტანა მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებები, რომლებიც იძლევა 100.000 მან. ეკონომიას. სამონტაჟო მუშაობა დამთავრდა ვადამდე ორი თვით ადრე.

**სურათებზე:** ზევით —მარცხნივ: რადიოტექნიკოსი ამხ. **გალკინი** აწესრიგებს სადგურის სინდიყის გამმართავს; მარჯვნივ; კომკავშირელი დამკვრელი **ამხ. დამბლაძე** —გადამცემის აგრეგატების გამოცდაზე; ქვევით მარცხნივ— ამხ. **კვერნაძე**, სადგურის მშენებელი, წარდგენილია შრომის წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოებლად.

## ახალი ტექნიკური კულტურების [illegible] შენება



კოლხიდის საცდელი სადგური ემზადება ახალი ტექნიკური კულტურების დაუფლებისათვის.

**სურათზე** — ნიადაგის მომზადება ეთეროვან მცენარეებისათვის.

## წიწილები უკრუხოთ



**1933** წ. ყირიმის საინკუბაციო-მეფრინველეობის სადგურებმა ინკუბაციის წესით უნდა გამოიყვანონ **2.000.000** წიწილა. ლენინის სახელობის საინკუბაციო სადგურმა პირველმა დაიწყო საინკუბაციო კამპანია. სადგურში მიმდინარე წელს დაიდგა საბჭოთა წარმოების ინკუბატორი, რომელიც **36.000** კვერცხს იტევს. ორ კვერცხში 18 კაპ. თითო კვერცხზე ყოველ მშრომელს შეუძლია მიიღოს საინკუბაციო სადგურში გამოჩეკილი წიწილა.

სურათზე—ინკუბატორში ჩადებული კვერცხების გასინჯვა.

## აჭარისტანის კოლმეურნეები იბრძვიან ჩაისათვის

მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში ბათომის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაი უნდა გააშენონ 25 ჰექტარზე უკვე დაიწყო ნიადაგის მომზადება ჩაისათვის.

დღეს - დღეობით ნიადაგის მომზადებაში წინ მიდიან შემდეგი კოლმეურნეობები: „მახინჯაურის ხმა“. აჭარისტანის ცაკის სახელობის, „გზა სოციალიზმისაკენ“.

სურათზე: კოლმეურნეობა „მახინჯაურის ხმა“-ს წევრები ილებენ თხრილს ჩაის დასათესად.



**ფასი 30 კაპ.**

1933

გამ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს 68. მთავლიტის რწმუნებული გ—502